პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 82-ე წელი

შაბათი, 19 ივნისი, 1951 წ. № 142 (8996). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მაქსიმ გორკი — „პრავდის" 18/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის შრომის გამოქვეყნების წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები (1-ლი გვერდი).
მოწინავე ადამიანები (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
ივ. გიგინეიშვილი — „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" (მე-2 და მე-3 გვერდი).
ჩვენი წვლილი კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობაში (მე-2 გვერდი).
წიგნის ერთთვიური (მე-2 გვერდი).
გორის თეატრის გასტროლები (მე-3 გვერდი).
გორკის დღეები საზღვარგარეთ (მე-3 გვერდი).
ტოლიატის დიაუზე უ[illegible]სადმი (მე-4 გვერდი).
ვილჰელმ პიკის დეპეშა პალმირო ტოლიატისადმი (მე-4 გვერდი).
დანიის კომპარტიის ალმასკომის მიმართვა ხალხისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მაქსიმ გორკი

დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხი აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის გარდაცვალების მე-15 წლისთავს.

გორკი მახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელთათვის, მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის. ამხანაგი გორკი, წერდა ვ. ი. ლენინი ორმოცზე მეტი წლის წინათ, თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გორკიმ მხატვრის თავისი ნიჭით უდიდესი სარგებლობა მოუტანა მუშათა კლასს. სიტყვის გენიალური მხატვარი, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მგზნებარე მებრძოლი, გორკი სოციალიზმის კულტურის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე კულტურის მკაფიო გამომხატველია.

მის უკვდავ ქმნილებებში ხორცშესხმულია დიდებული ისტორია ჩვენი ხალხის ბრძოლისა თვითმპყრობელობის და კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის ნათელი სამყაროს აშენებისათვის, ძლიერი თავისუფალი ადამიანის, შემოქმედისა და მშენებლის, კომუნიზმის კეთილშობილური იდეალების განსახორციელებლად მებრძოლის აღზრდისათვის. და-

თავის ნაწარმოებში „დედა" მწერალმა უდიდესი რწმენით განაცხადა:

„...რუსეთი დედამიწის ყველაზე ბრწყინვალე დემოკრატია იქნება!"

განხორციელდა რევოლუციის გრიგალას ხალკთესო ოცნება: საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით კომუნიზმს აშენებს, ახლა სათავეში უდგას მთელ კაცობრიობას, დედამიწის ყველა მშრომელი ადამიანის სიამაყე, დიდება და იმედია.

სიტყვის გენიალურმა მხატვარმა — გორკიმ დაგვიტოვა შთამაგონებელი ნიმუშები ხელოვნებისა, რომელიც ემსახურება ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას, ხელოვნებისა, რომელიც ღრმად სწვდება გულში ადამიანს.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფუძემდებელმა, გორკიმ საბჭოთა მწერლებს, ლიტერატურის ყველა პროგრესულ მოღვაწეს უანდერძა — ღრმად შეისწავლონ ცხოვრება, მართლად ასახონ იგი რევოლუციურ განვითარებაში. იგი მათ ასწავლიდა განუწყვეტლივ ემუშავნათ მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის. რაც უფრო ხერიოზულია მასალის სოციალური მნიშვნელობა, ამბობდა გორკი, მით უფრო დახვეწილ, ზუსტ და ნათელ ფორმას მოითხოვს იგი. საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების

[illegible]

და უცხო გავლენებისათვის გორკიმ — კომუნიზმისათვის შთაგონებულმა მებრძოლმა—ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა ლიტერატურის — კაცობრიობის ახალი, კომუნისტური მორალის მაუწყებლის — განვითარებისა და აყვავებისათვის.

მარად უკვდავი ძალით აღსავსეა გორკის მიერ შექმნილი სახეები. გამოვიდა რა ხალხის წიაღიდან, რომელიც ექსპლოატაციის უღელქვეშ გმინავდა, გორკი მრისხანედ და მგზნებარედ ამხილებდა ყველა და ყოველგვარ მჩაგვრელს. მან მთელი ულმობელი სიმართლით დახატა კაპიტალისტების, ვაჭრების, კულაკების, დახავსებული მეშჩანების, ბურჟუაზიული ინტელიგენტი-პარაზიტების და კაპიტალის სამეფოს სხვა ბნელი ფიგურების ტიპები. მისი ნაწარმოებნი გვიხერგავენ მწვავე სიძულვილს ექსპლოატატორებისადმი—მშრომელთა უბოროტესი მტრებისადმი.

მშრომელი ხალხის მხურვალე სიყვარულითა და მისი შემოქმედებითი ძალისადმი რწმენით არის გამთბარი გორკის მიერ შექმნილი მშრომელი ადამიანის სახეები. „პატრონია ის, ვინც შრომობს!" ასე განაცხადა ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის მიჯნაზე გორკის ერთ-ერთმა გმირმა, მემანქანე ნილმა. მსოფლიოში ცნობილ

[illegible]

ჩვენ გამოვდივართ იმ ქვეყანაში, რომელიც გაშუქებულია ვლადიმერ ლენინის გენიით, ქვეყანაში, სადაც დაუღალავად და სასწაულმოქმედად მუშაობს იოსებ სტალინის რკინის ნებისყოფა".

საბჭოთა ხალხი, რომელსაც გორკიმ მოახმარა მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი სიცოცხლე, ახლა წარმატებით ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს. საბჭოთა ქვეყანა ბოლშევიკების გმირი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მარად იცოცხლებს ადამიანთა გულში მაქსიმ გორკის ნათელი სახე. დღეს, მოიგონებენ რა თავიანთ საყვარელ მწერალს, საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა მიმართავენ მწერალს მისივე უკვდავი ნაწარმოების—„სიმღერა შევარდენზე"—სიტყვებით:

„მოკვდი—მერე რა! სულით მედგარნი, გამბედავნი სულ გახსენებენ. თავის სიმღერაში გიწოდებენ ცოცხალ მაგალითს, თავისუფლების, სინათლისაკენ მძლავრ მოწოდებას!"

„პრავდის" 18/VI მოწინავე

ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის შრომის გამოქვეყნების წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიეძღვნა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების გამოქვეყნების წლისთავს. სესიამ ორ დღეს გასტანა.

ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დოცენტმა თ. ს. შარაძენიძემ გააკეთა მოხსენება „ენათა სტადიალური კლასიფიკაცია ი. ი. მეშჩანინოვისა სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით". თ. შარაძენიძემ ცხადყო, რომ ი. ი. მეშჩანინოვის ცდა — ენათა სტადიალური კლასიფიკაცია აეგო ეგრეთწოდებულ „ახალ მოძღვრებაზე ენის შესახებ" სრული მარცხით დამთავრდა.

დოცენტ ვ. ნ. ფანჩვიძის მოხსენება მიეძღვნა თემას „ნ. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის მეცნიერული უსაფუძვლობა — ენის შესახებ ი. ბ. სტალინის შრომების მიხედვით".

ხალხმრავალი აუდიტორიის დიდი

[illegible]

საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით".

პროფ. ა. ს. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ ენათმეცნიერების მიღწევები დაკავშირებულია სხვადასხვა ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ისტორიულ შესწავლასთან. მაგრამ ისტორიულ ენათმეცნიერებას დღემდე არ მოეპოვება ენათა ისტორიული განვითარების თეორია, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდიკა. ისტორიული ენათმეცნიერების თეორია ჩამორჩება ენათმეცნიერების საკვლევაძიებო პრაქტიკას.

საბჭოთა ენათმეცნიერება, რომელიც ემყარება ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომებს, მოწოდებულია დაიცვას ისტორიზმის პრინციპი და დაამუშაოს ენის ისტორიული განვითარების თეორია. ენის განვითარების მეცნიერულ, მარქსისტულ თეორიას საფუძველი ჩაყრილი აქვს ი. ბ. სტალინის შრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე.

[illegible]

სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. შანიძე); „Некоторые вопросы литературоведения в свете учения И. В. Сталина о языке" (მომხსენებელი დოცენტი ვ. შადური); „ნაციონალური ენების ჩამოყალიბების საკითხი ი. ბ.

[illegible]

(მომხსენებელი დოცენტი გ. აბზიანიძე); „ენა, როგორც სისტემა ი. ბ. სტალინის მოძღვრების მიხედვით" (მომხსენებელი პროფესორი ქ. ლომთათიძე).

სესიის სხდომები შედგება უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში საღამოს 7 საათზე.

რუსთავის ახალმშენებლობებზე

მოწინავე ადამიანები

ხის ყოველგვარი ნაკეთობანი, რაც რუსთავის მშენებლებს სჭირდებათ, საქარხნო წესით მზადდება და სამშენებლო ობიექტებზე გამზადებული სახით მიდის. ამ ამოცანას რუსთავში ასრულებს ხის დამმუშავებელი კომბინატი (უფროსი შ. მონადირაშვილი), რომელიც ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით არის მოწყობილი. მრავალი დანიშნულების სხვადასხვა მანქანა-დანადგარი სწრაფად და მაღალხარისხოვნად ასრულებს ხის დამუშავების ყველა პროცესს.

ყველაზე მოწინავეა კომბინატში ამწყობი საამქროს დურგლების ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა ოსტატი სერგი სივსივაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადაში 18 დურგალია. ისინი უმთავრესად ქალაქის მშენებლობისათვის სხვადასხვა ტიპის საკარფანჯრე ჩარჩოებს, პიმკრებს ამზადებენ. ბრიგადა შედგება ექვსი რგოლისაგან, რომელთა შორის მოფიქრებულად არის განაწილებული ფუნქციები. ნაყოფიერად მუშაობს ვლადიმერ ხვედელიძის რგოლი. მიმ-

[illegible]

მოყვანისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. ამ ორი წლის წინათ რუსთავის ხის გადასამუშავებელი კომბინატის ამწყობ საამქროში დურგლად დაიწყო მუშაობა. დღიურ დავალებას ორ-სამმაგად ასრულებდა. ენერგიული ახალგაზრდა სულ მალე უფროს ოსტატად და ბრიგადირად დააწინაურეს. მის მიერ აღზრდილები არიან ვ. ხუბულური, ა. ცხოვრებოვი, ო. მეტრეველი და სხვები, რომლებიც ამჟამად დღიურ ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

როდესაც ბრიგადას სასწრაფოდ შესასრულებელ დავალებას აძლევენ, ს. სივსივაძე გვერდში ამოუდგება ხოლმე ბრიგადის წევრებს, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მათ.

ამწყობ საამქროში ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა დურგალი ალექსანდრე გულვერდაშვილი. იგი გასაოცარი სისწრაფით მუშაობს, დღეში ნორმით გათვალისწინებული ორი კარის ნაცვლად ოთხს მაინც აწყობს. დიდი ხანი არ არის, რაც ამხ. გულვერდა-

[illegible]

მონაწილეობა. თავისი საბრძოლო გზა ბერლინის აღებაში მონაწილეობით დაამთავრა. მკერდს მთავრობის რამდენიმე ჯილდო უმშვენებს. მშობლიურ კუთხეში დაბრუნებულმა ომგადახდილმა ვაჟკაცმა შრომის ფრონტზე მალე ისახელა თავი. დაბრუნებისთანავე მერგოლურად დაიწყო მუშაობა ხობის რაიონის სოფელ ხორგას კოლმეურნეობაში, სადაც უხვი მოსავლის

[illegible]

ბი დურგლები: ვ. ძამაშვილი, ბ. ლომიძე, გ. ქელეხსაევი და მრავალი სხვა. ისინი ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს მეტალურგების ქალაქის სამშენებლო ობიექტებისათვის ინდუსტრიული წესით დაამზადონ საჭირო ხის ნაკეთობანი.

გ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

აღებულია 7.702 ჰექტარი პურეული

წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება შარშანდელზე უფრო ადრე დაიწყო. 15 ივნისისათვის სულ აღებულია 7.702 ჰექტარი. აქედან კომბაინებით მომკილია 5.642 ჰექტარი, შარშან ამავე დროისათვის აღებული იყო 732 ჰექტარი.

მოსავლის აღება მასობრივად გაჩაღდა ლაგოდეხის, ყვარლისა და სიღნაღის რაიონებში. ლაგოდეხელებმა უკვე აიღეს 2.860 ჰექტარი, ყვარლელებმა — 1.240 ჰექტარი, სიღნაღელებმა კი—2.401 ჰექტარი. გურჯაანის რაიონში მომკილია 97 ჰექტარი, წითელწყაროს — 814, გარდაბნის — 199, გარეუბნის — 58, ხოლო თელავის რაიონში — 33 ჰექტარი.

ნათესების დამუშავება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია სიმინდის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, თამბაქოს დამუშავება. 15 ივნისისათვის სიმინდის პირველი თოხნა ჩატარებულია 191.520 ჰექტარზე, რაც გეგმის 70,4 პროცენტს შეადგენს, მეორედ გათოხნილია 23.844 ჰექტარი. სიმინდის პირველი თოხნა დაამთავრეს წითელწყაროს და ქარელის რაიონებმა.

[illegible]

ვალება შესრულებულია 95,7 პროცენტით, მეორე თოხნისა — 47,9 პროცენტით. თეთრი წყაროს რაიონმა მეორე თოხნის დავალება შეასრულა 47,6 პროცენტით, გურჯაანის — 19,2, სიღნაღის — 42,8, წითელწყაროს — 100, თელავის — 35,3, ახმეტის — 27, ყვარლის — 42,9, ლაგოდეხის — 73,2, გარეუბნის — 28,6, მცხეთის — 5,3, საგარეჯოს რაიონმა 4,7 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის ნათესების პირველი გაფხვიერების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, მიმდინარეობს მეორე გაფხვიერება. გორის რაიონში შაქრის ჭარხლის მეორე გაფხვიერების გეგმა შესრულებულია 93,2 პროცენტით, კასპის — 31,8, ხაშურის — 75,6, ქარელის — 100 პროცენტით.

[illegible]

წარმატებით მიმდინარეობს. ლაგოდეხის რაიონში პირველი თოხნის გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით, მეორე თოხნისა — 97,9, მესამისა — 28,5 პროცენტით. მარნეულის რაიონში მეორე თოხნა შესრულებულია 53,3 პროცენტით, აფხაზეთში — 39,9, ხოლო აჭარაში — 23,1 პროცენტით.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 60 ცენტნერი მატყლი

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 14 ივნისისათვის 101 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ახალქალაქის

[illegible]

სამეცნიერო კონფერენცია ენათმეცნიერების საკითხებზე

16 ივნისს მოსკოვის უნივერსიტეტში დამთავრდა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" გამოქვეყნების წლისთავისადმი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ქალაქების უნივერსიტეტებისა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების პროფესორებმა და მასწავლებლებმა.

კონფერენციის დახურვის წინ სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ, რომელმაც განაცხადა:

— აქ შეჯამებულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტისა და ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ ერთი წლის განმავლობაში შესრულებული მუშაობა ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე ენათმეცნიერების გარდაქმნის დარგში და დასახულია შემდგომი მუშაობის პერსპექტივები. ამ კონფერენციაზე ჩვენ უფრო ძლიერად ვიგრძენით ამ ნაშრომის სიდიადე, მისი უდიდესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელი ჩვენი მეცნიერებისათვის.

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში კონფერენციის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. (საქინფორმი).

1951 წლის 20 ივნისს საღამოს 8 საათზე ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქუჩა № 4) გაიხსნება სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" მეორე ყრილობა.

ა. მ. გორკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

16 ივნისს დამთავრდა ა. მ. გორკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მოიწვიეს ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა. კონფერენცია გაგრძელდა ექვს დღეს. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა იმ მეცნიერთა მოხსენებები, რომლებიც დიდი რუსი მწერლის უმდიდრეს მეცნიერულ მემკვიდრეობას სწავლობენ. ცალკე სხდომები მიეძღვნა გორკის ნაწარმოებთა სტილისა და ენის, ა. მ. გორკის არქივის მიერ გამოქვეყნებული ახალი მასალების, სსრ კავშირის ხალხების ლიტერატურის განვითარებაზე და მსოფლიო პროგრესულ ლიტერატურაზე დიდი რუსი მწერლის შემოქმედების გავლენის საკითხებს.

15 ივნისის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები, რომლებიც ახასიათებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახალ გამოკვლევებს. შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ე. ე. ბერტელსმა განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა დააგროვა ძვირფასი მასალა, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. გორკის ნაწარმოებთა გავრცელებასთან.

— აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, — თქვა ე. ე. ბერტელსმა, — ისევე როგორც დასავლეთში, ყველა ნამდვილი მოწინავე, ყველა საუკეთესო მწერალი მიილტვის გორკისაკენ. გორკის ნაწარმოებნი ის მაღალი ნიმუშია, რომელსაც ბაძავენ მთელი მსოფლიოს მწერლები. მომხსენებელმა მოიყვანა სიტყვები რეალისტური ჩინური ლიტერატურის შემქმნელის ლუ სინისა, რომელმაც გორკის უწოდა ახალი ეპოქის ლიტერატურის მასწავლებელი. სახელგანთქმული მებრძოლი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთისა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთის ლიტერატურაში გორკი მომავლის წარმომადგენელია. (საქინფორმი).

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

მინსკის ოლქის ქ. ბორისოვის № 9 სადქავე ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა დამპროექტებელი ლენინგრადის სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკებმა;

ბობრუისკის ოლქის ოსიპოვიჩის რაიონის მშრომელებმა;

ასტრახანის ოლქის ნარიმანოვის რაიონის მშრომელებმა;

მოსკოვის ოლქის ქ. ეგორიევსკის და ეგორიევსკის რაიონის მშრომელებმა;

მინსკის თაბაშირის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა;

ტაგანროგის ლუდის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პენზის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის და ორთქლმავლის მემანქანეთა სამწლიანი სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „სახარომპრომპროექტის" კიევის განყოფილების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ბუხტარმის რაიონის მშრომელებმა;

კიროვოგრადის ოლქის ნოვო-არხანგელსკის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის მუშაკებმა;

უკრაინის ალკკ სოლონიანის რაიკომმა, დნეპროპეტროვსკის ოლქი;

სიზრანის № 10 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის მშრომელთა დეპუტატების ალექსანდროვის რაიონულმა საბჭომ;

მოლოდეჩნოს ოლქის მშრომელთა დეპუტატების სმორგონის რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ნაზჟენის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) გომელის რაიკომმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) გლუხოვის რაიკომმა და სუმის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევის რაიონის ბაგანის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) მოშენსკოეს რაიკომმა, ნოვგოროდის ოლქი;

ტიუმენის ოლქის იურგინის რაიონის დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ზალუჩიეს რაიკომმა, ნოვგოროდის ოლქი;

კუიბიშევის ოლქის ბოლშაია ჩერნიგოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრას" წევრებმა;

ოდესის ოლქის პერვომაისკის რძის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) ლენგირის რაიკომმა და გურიევის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ;

უკრაინის კ. პ. (ბ) ვერხნე-დნეპროვსკის რაიკომმა და დნეპროპეტროვსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ;

საკავშირო კ. პ. (ბ) კრესტცის რაიკომმა, ნოვგოროდის ოლქი;

ხარკოვის ოლქის ბოროვსკის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

ქ. ირკუტსკის კიროვის რაიონის მშრომელებმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ვიძის რაიკომმა და პოლოცკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ნოვგოროდის ოლქის ბოროვიჩის სამკერვალო ფაბრიკა „კომის" მუშა-მოსამსახურეებმა;

ბელორუსიის კ. პ. (ბ) როსონის რაიკომმა და პოლოცკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ტამბოვის ოლქის ქ. რასკაზოვის ფიზკულტურელებმა;

გომელის ოლქის ჟურავიჩის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ნოვოზიბკოვის რაიკომმა და ბრიანსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

მოლოდეჩნოს ოლქის მიადელსკის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

საკავშირო კ. პ. (ბ) ზლინკის რაიკომმა და ბრიანსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის სადგურ ტამბოვის № 2 საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

ბრიანსკის ოლქის კარაჩევის რაიონის მშრომელებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ოკულოვკის რაიკომმა, ნოვგოროდის ოლქი;

საკავშირო ალკკ კაბანსკის სააიმაკო კომიტეტმა, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ;

საკავშირო კ. პ. (ბ) სევსკის რაიკომმა და ბრიანსკის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ნოვგოროდის ოლქის პესტოვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

სტანისლავის ოლქის ნადვორნიანის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

ელგავის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელთა, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ლიჩკოვის რაიკომმა, ნოვგოროდის ოლქი;

საკავშირო კ. პ. (ბ) ბიჩურის სააიმაკო კომიტეტმა, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ;

კუიბიშევის ოლქის კრასნოიარსკის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მორშის სატყეო-ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ბრესტის ოლქის დივინსკის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

ნოვოსიბირსკის ოლქის უბის რაიონის მშრომელებმა;

ნოვგოროდის ოლქის სტარაია რუსას რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

ქ. ტაშკენტის ლენინის ქ. № 35 სახლის მცხოვრებთა კოლექტივმა;

ქ. ნოვოსიბირსკის ქალთა 68-ე შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

აკმოლინსკის ოლქის შორტანის რაიონის კოლმეურნეებმა, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის, მალაროს მუშებმა და ინტელიგენციამ;

ვორონეჟის ოლქის ნოვო-უსმანის რაიონის მშრომელებმა;

ვორონეჟის ოლქის ალექსეევის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

ლატვიის კ. პ. (ბ) რაიკომმა და ქ. რიგის სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ;

ბრესტის ოლქის დომაჩევის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

ტალდი-კურგანის ოლქის კიროვის რაიონის მუშებმა, კოლმეურნეებმა, მოსამსახურეებმა და ინტელიგენციამ;

სემიპალატინსკის ოლქის ნოვო-შულბის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

ნოვოსიბირსკის ოლქის ქ. ტატარსკის არტელ „ნოვაია ჟიზნის" მუშაკებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) სერიშევის რაიკომმა და ამურის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

სემიპალატინსკის ოლქის აიაგუზის რაიონის მშრომელებმა;

იშიმის მებაღეთა სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ჩერეპოვეცის რაიკომმა და ვოლოგდის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

ივანოვის ოლქის შუის რაიონის პესტიაშის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

სემიპალატინსკის ოლქის ბოროდულიხის რაიონის მშრომელებმა;

აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის კიროვის რაიონის მშრომელებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის სუზუნის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი წვლილი კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობაში

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკებს საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის ხელისშეწყობა, ამ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში შემოქმედებითი მონაწილეობის მიღება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილია კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხელისშემწყობი რესპუბლიკური კომიტეტი, რომელიც თავის მუშაობას ხუთ სამეცნიერო სექციაში ახორციელებს. რესპუბლიკური კომიტეტის ერთ-ერთი ასეთი სექცია არის საწარმოო ძალთა სამეცნიერო სექცია.

საწარმოო ძალთა სამეცნიერო სექციაში გაერთიანებულია მცენარეთა დაცვის, ქიმიის, გეოფიზიკის, ნიადაგთმცოდნეობის და ბოტანიკის ინსტიტუტები და აკადემიასთან შექმნილი საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო. ეს ინსტიტუტები და საბჭო კონკრეტული კალენდარული გეგმების მიხედვით მუშაობენ. მაგალითად, გეოფიზიკის ინსტიტუტი აწარმოებს ყირიმის სარწყავი არხის მშენებლობის რაიონის მეტეოროლოგიური, კლიმატური, სეისმოლოგიური მონაცემების დამუშავებას და ინტერპრეტაციას; ბოტანიკის ინსტიტუტი მუშაობს ვოლგა-კასპიის და დასავლეთ თურქმენეთის ნალექების სტრატიგრაფიის დაზუსტებაზე; ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტი იკვლევს თურქმენეთის არხის მოსარწყავი რაიონების ნიადაგს; მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი სწავლობს დასავლეთ თურქმენეთის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებს და მავნებლებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოს დავალებული აქვს შეიმუშაოს საბურღავ სამუშაოთა გაუმჯობესების ღონისძიებანი და შეარჩიოს ბურღვისას საჭირო საუკეთესო დამხმარე მასალები. ცნობილია, რომ არხების ტრასისა და კაშხალთა მშენებლობის დასაწყებად ნიადაგის გეოლოგიური აგებულების შესასწავლი მასალის მოპოვება ბურღვით ხდება. უკანასკნელ წლებში ბურღვის პრაქტიკაში ფართო გამოყენებას პოულობს ბენტონიტური თიხები, რომლებსაც ხსნარის შემადგენლობაში ურევენ. საქმე ისაა, რომ ბურღვის დროს ამ ხსნარით თანდათანობით ილესება ჭაბურღილის კედლები, რომლებიც შემდეგ თიხის თხელი ფენით იფარება. ამის შედეგად წყდება ჭაბურღილის კედლებიდან წყლის გამოჟონვა, აღარც კედლები ჩამოინგრევა და ნაბურღი ნაწილაკების მიწის ზედაპირზე ამოღებაც ადვილდება. ამასთან ნაბურღი ნაწილაკები აღარ ილექება საბურღავ იარაღებზე. ყველაფერი ეს სპობს ავარიებს, საგრძნობლად აჩქარებს და აიაფებს ბურღვას. ბურღვის საქმეში ბენტონიტური თიხების გამოყენების საკითხს სწავლობს მეცნიერთა ჯგუფი, რომელშიც შედიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ს. ფილატოვი და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. მერაბიშვილი. გარდა ამისა, მეცნიერთა ეს ჯგუფი ამზადებს ბურღვის სპეციალისტებს, ასწავლის მათ ჭაბურღილებში გამოსაყენებლად თიხიანი ხსნარების დამზადებას.

საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოს განზრახული აქვს გამოცდილების გაზიარების მიზნით მეცნიერ მუშაკთა ბრიგადები მიავლინოს სამხრეთ უკრაინაში და ჩრდილოეთ ყირიმში.

საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო სწავლობს აგრეთვე გამდნარი ბაზალტით შემოსილი მილების გამოყენების საკითხს ჯებირების, კაშხალების და სხვა ნაგებობათა მშენებლობის დროს. ასეთ ნაგებობათა ასაგებად ბეტონის ხსნარის, ქვიშის და ხრეშის მიწოდება დღემდე ლითონის მილების საშუალებით ხორციელდება. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ გამდნარი ბაზალტი ხეხვას უკეთ უძლებს, ვიდრე ფოლადი და თუჯი, და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ლითონის მილების შიდა ზედაპირი გამდნარი ბაზალტით იქნას დაფარული (შემოსილი). ამით საგრძნობლად გახანგრძლივდება ლითონის მილების გამოყენება. ბაზალტის საცდელი დნობა ჩატარდა 1949 და 1950 წლებში. ცდამ კარგი შედეგი მოგვცა.

საქართველოს მეცნიერთა ეს წინადადება შეისწავლეს და მოიწონეს სსრ კავშირის და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიების საწარმოო ძალთა შემსწავლელმა საბჭოებმა.

გამდნარი ბაზალტით დამუშავებული მილების გამოყენება გათვალისწინებულია სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, სადაც გაიგზავნება სპეციალისტთა ბრიგადა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო კვლავაც არ დაიშურებს ძალასა და უნარს კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობისათვის ხელისშესაწყობად, ამ უმაგალითო მასშტაბის მშენებლობაში თავისი წვლილის შესატანად.

შ. არჩვაძე
საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს სწავლული მდივანი

საგრენაჟო ქარხნის წარმატება

ქუთაისი. (საქ. კორ.). ქუთაისის საგრენაჟო ქარხანამ 17 ივნისისათვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 49.900 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 50.300 კილოგრამი აბრეშუმის საჯიშე პარკი. თვითეულ კოლოფზე მიღებულია 89 კილოგრამი პარკი ნაცვლად 69,5-სა.

პარკის დამზადება გრძელდება. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 8 ტონა პარკი.

წიგნის ერთთვიური

საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები იძენენ ლიტერატურას

ზუგდიდი. (საქ. კორ.). „საქწიგნის" ზუგდიდის მაღაზიამ (გამგე ა. ნაჭყებია) წიგნის დატარებითი ვაჭრობა მოაწყო ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში, ბერიას სახელობის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რკინიგზის ზუგდიდის სადგურში. მარტო პირველ დღეს 10 ათასი მანეთის წიგნები და ბროშურები გაიყიდა. ნავარაუდევია ერთთვიურის განმავლობაში 180 ათასი მანეთის ლიტერატურის რეალიზაცია.

დიდი რაოდენობით იძენენ პოლიტიკურ, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრულ წიგნებსა და ბროშურებს სოფლის მეურნეობის ნოვატორები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ანთიმოზ როგავამ, რომლის პირადი ბიბლიოთეკა 1.000 წიგნს შეიცავს, დამატებით 700 მანეთის ლიტერატურა შეიძინა. იმავე კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ იყიდა 500 მანეთის ლიტერატურა. მრავალი წიგნი და ბროშურა შეიძინეს სოციალისტური შრომის გმირებმა — ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდის" თავმჯდომარემ კალისტრატე შეროზიამ და პარტბიუროს მდივანმა ნესტორ ხარებავამ.

რაიკოოპკავშირის კულტმაღაზიებში წიგნის ერთთვიურის პირველ დღეს 25 ათასი მანეთის ლიტერატურა გაიყიდა. ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში შეიძინეს 5 ათასი მანეთის ლიტერატურა, ამდენივე თანხის წიგნები და ბროშურები იყიდეს კახათის მარქსის, რიყის შენგელიას და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის მაღაზიებისათვის წიგნის მიწოდებაში არის ნაკლოვანებებიც. ნაკლებად არის პოლიტიკური ლიტერატურა. ქართულ ენაზე არ იშოვება „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსთა ზოგიერთი სხვა ნაწარმოები. ამ წიგნებზე კი მოთხოვნილება დიდია.

ზუგდიდის რაიონის საწარმოებსა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ბევრია რუსი მკითხველი. მაღაზიებში კი პუშკინის, გორკის, ჩეხოვის თხზულებები არა აქვთ. კულტმაღაზიებს, რომლებიც მეტწილად სოფელს ემსახურება, მცირე რაოდენობით მოსდით მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე. ეს მაშინ, როცა ზოგიერთი წიგნი, რომლის მოთხოვნილება უმნიშვნელოა, ასობით აწყვია მაღაზიებში. მაგალითად, ინჟინერ ს. ვაჩეიშვილის წიგნი „სამუშაოთა ორგანიზაცია სატრაქტორო ბრიგადებში" გამოგზავნილია ორასი ცალის რაოდენობით, ზუგდიდის მტს-ში კი მხოლოდ რამდენიმე ბრიგადაა.

ხშირია წიგნების დაგვიანებით მიღების შემთხვევები. თვეობით იგვიანებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ტექნიკა და შრომის" და „საბჭოთა მწერლის" მიერ გამოცემული ლიტერატურის მიღება.

საზოგადოება „ტყის მეგობრის" კონფერენცია

ბათუმი. (საქ. კორ.). ამ დღეებში შედგა ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" აჭარის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ.

— აჭარის მშრომელებმა, — თქვა ამხ. დავითაძემ, — პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს — ბათუმის, მისი გარეუბნების, აგრეთვე რაიონებისა და სოფლების გასამწვანებლად. ბათუმი დამშვენებულია ახალი პარკებით, ბაღებით და სკვერებით. ქალაქის ყველა ქუჩა გამწვანებულია სუბტროპიკული დეკორაციული მცენარეებით. სერიოზული მუშაობაა გაწეული საკურორტო ზონის — მახინჯაურის, მწვანე კონცხის, ციხისძირის, ქალაქისა და კურორტ ქობულეთის, ბათუმის, ქედისა და ხულოს რაიონული ცენტრების გამწვანების დარგში. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აჭარაში გაშენდა 1 მილიონ 330 ათას ძირზე მეტი ძვირფასი მცენარე.

ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გამწვანებისათვის დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოება „ტყის მეგობარი". ამჟამად აჭარაში ითვლება ამ საზოგადოების 610 პირველადი ორგანიზაცია, რომელთა რიგებში გაერთიანებულია 62.693 წევრი.

საანგარიშო პერიოდში მოწყობილია 320 ლექცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ზოგიერთ საწარმო - დაწესებულებათა ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახლადგაშენებული მცენარეების მოვლა-პატრონობას. სუსტად მუშაობენ ამ მხრივ ქობულეთისა და ქედის ორგანიზაციები.

კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. ხმელიძის თანამოხსენება.

კონფერენციამ ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" აჭარის რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შემდეგ არჩეულ იქნა რესპუბლიკური საბჭო და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე დელეგატები ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საქართველოს მეორე ყრილობისათვის.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი"

თავის გენიალურ შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" ამხანაგმა სტალინმა სრული სიცხადით გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენას საზოგადოების განვითარებაში. სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების თანახმად სოციალისტური ერების ეროვნული ენები წარმოადგენენ ძირითად იარაღს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის განვითარებისა და მშრომელთა მასების მიერ ამ კულტურის დაუფლების საქმეში. ამ იარაღის დაუფლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეა.

ენის შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრების საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მთელი სიმწვავით დააყენა თანამედროვე ერთიანი საერთო ეროვნული ქართული ენის შემდგომი განვითარების, მისი სიწმინდის დაცვის, მთელ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრების საკითხი და დასახა სათანადო გზები ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის განსახორციელებლად.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალური ხდება ლექსიკონის შედგენა, ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა გამოვლინება. „ლექსიკური შემადგენლობა, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა".

წლების განმავლობაში, 1945 წლიდან მოკიდებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ინტენსიური მუშაობა წარმოებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონის შესადგენად. ლექსიკონის I ტომი დაიბეჭდა გასულ წელს, II ტომი გამოვიდა მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს.

რა პრინციპებზეა აგებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი"? რა ამოცანები დგას მის შემდგენელთა წინაშე?

ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეს განეკუთვნება. იბერიულ-კავკასიურ ენათა სახელწოდებით მეცნიერებაში ცნობილია ქართველური— ქართული, ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური—და მთის კავკასიური ენები. იბერიულ-კავკასიური ენები გენეტურად უკავშირდებიან წინა აზიის ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთა ენებს—ხეთურს, ურარტულს, ელამურს — და მათთან ერთად მონათესავე ენათა ერთ ოჯახს ქმნიან, რომელსაც ხეთურ-იბერიულს უწოდებენ.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ქართული ერთადერთია, რომელზეც მრავალსაუკუნოვანი მდიდარი მწერლობა არსებობს. V საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარება ორ პერიოდად იყოფა: ერთია ძველი ქართული სალიტერატურო ენა—V საუკუნიდან XI საუკუნის გასულამდე; მეორეა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დასაბამს XII საუკუნიდან იღებს, ხოლო საბოლოოდ მკვიდრდება ლიტერატურაში XIX საუკუნის მესამოცე წლებიდან. ახალი ქართულის საბოლოო დამკვიდრება ლიტერატურაში დაკავშირებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მოღვაწის, დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახელთან. ამ დროიდან დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ორგანულ -განვითარებას წარმოადგენს. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებნი. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ამ სალიტერატურო ენის შესანიშნავი ნიმუშია მოცემული ამხანაგ სტალინის ადრინდელ ნაშრომებში, რომლებმაც სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური ტერმინებითა და გამოთქმებით არაჩვეულებრივად გაამდიდრეს ქართული ენა, და რომლებიც ქართული ლიტერატურული სტილის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა — საბჭოთა პერიოდის ახალი ქართული სალიტერატურო ენა — ამ ენის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდში ქართულ სალიტერატურო ენაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა. იგი იქცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. იგი მდიდარი ქართული საბჭოთა მწერლობის ენაა. ამ ენაზე მუშაობს დაწყებითი და საშუალო სკოლების უფართოესი ქსელი, ოცზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი. ამ ენაზე განვითარდა და აყვავდა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგი, ამ ენას მოიხმარს ჩვენი პრესა, რადიო, საბჭოთა სახელმწიფო აპარატი. ქართული წიგნის ტირაჟი არაჩვეულებრივად გაიზარდა და არნახულ დონეს მიაღწია. ქართული გაზეთი გავრცელდა საქართველოს ყოველ სოფელში. ყოველი ქართველი დღეს წიგნისა და გაზეთის მკითხველია და, მაშასადამე, სალიტერატურო ქართული ენის მომხმარებელი. ეს საქართველოს სოციალისტური კულტურის მძლავრი აყვავებისა და გაფურჩქვნის შედეგია. ეს დიდი წარმატება მიღწეულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური შეუნელებელი მზრუნველობითა და ხელშეწყობით. „საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობის მეოხებით ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურული ენის პატრონი ვართ" (კ. ჩარკვიანი).

ქართული ეროვნული სალიტერატურო ენის ასეთი არაჩვეულებრივი განვითარება და გამდიდრება ახალ ამოცანებს სახავს ჩვენ წინაშე. სალიტერატურო ენას დაკისრებული აქვს უაღრესად საპატიო მოვალეობა—მოემსახუროს მშრომელთა უფართოეს მასებს. ეს ფაქტი გულისხმობს იმას, რომ ქართველი ხალხის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფ განვითარებას მხარდამხარ უნდა მისდევდეს ქართული ეროვნული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარება. არასოდეს არ მდგარა ქართული სალიტერატურო ენის წინაშე ისეთი დიდი ამოცანები, როგორიც დღეს დგას. სოციალისტური საზოგადოების ერთიანი სახალხო მეურნეობა და კულტურა გულისხმობს სალიტერატურო ენის ერთიანობას, ამ ერთიანობისათვის შეუნელებელი ბრძოლის საჭიროებას. ბუნებრივია, რომ იქმნება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის ჯეროვანი ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებლობა. საჭიროა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მთელი რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების მოგვარება და ერთიან სავალდებულო ნორმათა დადგენა, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შედგენა და სხვ.

განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ის ფაქტი, რომ აქამდე არ მოგვეპოვებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც აღნუსხული და ახსნილი იქნებოდა ყველა სიტყვა, რომელიც დამკვიდრებულია ამჟამად მხატვრულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში და სხვ., რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა თანამედროვე ქართული ენის ლექსიკური მარაგი და, განსაკუთრებით, ნაჩვენები იქნებოდა ამ ლექსიკური მარაგის ზრდა და გამდიდრება საბჭოთა პერიოდში.

ამ ხარვეზს ავსებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი".

დღემდე ქართული ენის ლექსიკონი ორია ცნობილი. პირველი მათგანი ეკუთვნის XVIII საუკუნის დიდ მწერალსა და კულტურის მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი შესანიშნავი ნაშრომია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. მკითხველს ხიბლავს საბას განმარტებათა სიზუსტე, სისხარტე და სისადავე.

მეორე ლექსიკონი პროფესორ დ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. იგი არ არის განმარტებითი ლექსიკონი, ქართულ-რუსული თარგმნითი ლექსიკონია, მაგრამ მაინც შეიცავს განმარტებითი ლექსიკონის ელემენტებს. დ. ჩუბინაშვილმა თითქმის მთლიანად გამოიყენა საბას ლექსიკონი და აგრეთვე ბევრი ახალი მასალა დაუმატა. ამ ლექსიკონის ქართული ნაწილი საბას ნაშრომისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში წარმოდგენილია სინონიმები და საილუსტრაციო მასალაც, თუმცა საკმაოდ ღარიბად. განმარტებათა სიზუსტისა და სისხარტის მხრივ დ. ჩუბინაშვილი საგრძნობლად ჩამორჩება საბას, რომელიც ამ მხრივ ხშირად ვირტუოზობას აღწევს.

ვერც ერთი და ვერც მეორე ლექსიკონი, ცხადია, თანამედროვე მოთხოვნილებებს ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს. მართალია, საბას ლექსიკონში ავტორის დროინდელი (XVIII ს.) ლექსიკა საკმაოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს ლექსიკონი არსებითად, ძველი ქართული ენის ლექსიკონია, ძველი ქართული ძეგლების ენას ემყარება, ძველი ქართული ენის ლექსიკურ მარაგს მოიცავს. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი კი თუმცა 1887 წელს გამოვიდა, სრულიადაც ვერ ასახავს მაშინდელი ქართული სალიტერატურო ენის ვითარებას.

აქედან ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" გამოსვლა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" კოლექტიური შრომაა. მის შედგენას ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია", რომელიც 1945 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ არნოლდ ჩიქობავას თავმჯდომარეობით, და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქცია", რომელიც 1949 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო ლექსიკონის მთელი ტექსტის სასტამბოდ მომზადება. ამჟამად „მთავარი რედაქციის" შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები: გ. ახვლედიანი, ი. გრიშაშვილი, ვ. თოფურია, ვ. კუპრაძე, გ. ლეონიძე, არნ. ჩიქობავა (თავმჯდომარე), გ. წერეთელი, დოცენტები: ს. ჟღენტი, თ. ლომოური და სტ. მენთეშაშვილი. ლექსიკონის მთავარი რედაქტორი და I ტომის რედაქტორია პროფესორი არნ. ჩიქობავა. II ტომის რედაქტორია პროფესორი გ. წერეთელი. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მომზადებაში მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, აგრეთვე მოწვეული პირები: მწერლები, ლიტერატურის მუშაკები და სხვ. ძირითად სამუშაო აპარატს წარმოადგენს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება.

სულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" შევა 125 ათასი სიტყვა. თითოეული ტომი უნდა შეიცავდეს 12-18 ათას სიტყვას და იქნება 45-55 სასტამბო ფორმის მოცულობისა. აქედან I ტომში შესულია სიტყვები ა და ბ ასოებზე, სულ 11.237 სიტყვა და 1.405 იდიომატური და სხვა გამოთქმა; II ტომში შესულია 13.696 სიტყვა და 1.798 გამოთქმა ასო გ-ზე. მთელი დანარჩენი მასალა განაწილდება 6 ტომად. ამრიგად, მთელი ლექსიკონი გამოვა 8 ტომად. ამჟამად სტამბისათვის გადაცემულია III ტომი და ინტენსიური მუშაობა წარმოებს მომდევნო ტომების სასტამბოდ მომზადებისათვის.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც დოკუმენტაცია სისტემატურადაა წარმოდგენილი; სიტყვის განმარტებას ახლავს საილუსტრაციო გამოთქმა. უმეტეს შემთხვევაში ილუსტრაციები მხატვრული, პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ამოღებული, უფრო იშვიათად გამოყენებულია სასაუბრო ენაში ხმარებული ფრაზები. ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას რამდენიმე საილუსტრაციო ფრაზა ახლავს, სხვადასხვა მწერლის თხზულებიდან ამოღებული, რაც ამ სიტყვის გავრცელების მასშტაბზე გვაძლევს წარმოდგენას.

ილუსტრაციები ამოღებულია ი. სტალინის ქართულად დაწერილი შრომებიდან (თხზულებათა I ტომი და II ტომის ნაწილი), კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ლენინის, ი. სტალინის, ვ. მოლოტოვის ქართულად ნათარგმნი

თეატრი

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

20 ივნისს მარჯანიშვილის სახელო-[ბის] თეატრის შენობაში იწყება გიორგი [ერ]ისთავის სახელობის გორის სახელმ-[წიფ]ო თეატრის გასტროლები.

გორი მდიდარი თეატრალური ტრა-[დ]იციის ქალაქია. აქ დაიწყო გიორგი [ერ]ისთავმა ქართული პროფესიული [თ]ეატრის აღდგენა. პირველი ქართული [წა]რმოდგენა 1865 წელს გორში გაი-[მ]ართა. აქ მოღვაწეობდნენ ქართული [თ]ეატრის დიდი გულშემატკივარნი [ვ]ალერიან მგალობლიშვილი, ნიკო შიუ-[კ]აშვილი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-[ლ]ების დამყარების შემდეგ გორში ჩა-[მო]ყალიბდა პროფესიული თეატრალუ-[რ]ი დასი. 1940 წელს აშენდა შესანიშ-[ნ]ავი სათეატრო შენობა, სადაც მუშაო-[ბ]ა დაიწყო გორის თეატრმა.

ამჟამად თეატრს ხელმძღვანელობს [ხ]ელოვნების დამსახურებული მოღვაწე [ვ]. ყუშიტაშვილი. გორის თეატრის მუ-[შ]აობისათვის დამახასიათებელია მის-[წ]რაფება შექმნას საინტერესო, მრა-[ვა]ლფეროვანი რეპერტუარი, მაყურე-[ბ]ელს უჩვენოს როგორც თანამედროვე [ქ]ართული და რუსული, ისე კლასიკუ-[რ]ი დრამატურგიის ნიმუშები.

გორის თეატრის საგასტროლო რე-[პე]რტუარში შედის: გ. ნახუცრიშვილის [„]სიჭაბუკე ბელადისა", ი. მოსაშვილის [„]ჩაძირული ქვები", ვ. პატარაიას „უჩა [უ]ჩარდია", გ. ქელბაქიანის „თქმულება [მ]იად მეგობრობაზე", ე. პეტროვის [„]მშვიდობის კუნძული", ა. შირვანზა-[დ]ეს „პატიოსნებისათვის" და ბომარშეს [„]ფიგაროს ქორწინება".

სიყვარულით და მონდომებით იმუ-[შ]ავა თეატრმა დიდი ბელადის ამხანაგ [ს]ტალინის სიჭაბუკის ამსახველი ნა-წარმოების სცენიური განსახიერები-სათვის. ეს სპექტაკლი გორის მაყურე-ბელთა შორის განსაკუთრებული წარ-მატებით სარგებლობს.

ე. პეტროვის „მშვიდობის კუნძული" წარმოადგენს მწვავე სატირას თანა-მედროვე იმპერიალისტურ სამყაროზე. გორის თეატრის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან ქართულ სცენაზე პირველმა განახორციელა ეს საინტე-რესო, აქტუალური პიესა.

გორის თეატრმა დიდი სიყვარულით განახორციელა მოძმე სომეხი ხალხის კლასიკოსის ა. შირვანზადეს ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „პატიოსნებისათვის".

ყურადღებას იპყრობს დიდი ფრანგი დრამატურგის ბომარშეს ცნობილი კო-მედიის „ფიგაროს ქორწინების" დად-გმა.

გორის თეატრი უმთავრესად ახალ-გაზრდა აქტიორული ძალებისაგან შედგება. ისეთი გამოცდილი მსახიობე-ბის გვერდით, როგორიც არიან შ. ხერ-ხეულიძე, შ. ხაჯალია, ო. კაზნიაშვი-ლი, ს. კალანდარიშვილი, ვ. ოსაძე, ს. გრიქუროვი, ე. არაქელოვი, მ. ბახტაძე, აქ წარმატებით მუშაობენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები გ. ციცქიშვი-ლი, რომელიც ასრულებს ახალგაზრდა სტალინის როლს სპექტაკლში „სიჭაბუ-კე ბელადისა", ვ. ცხვარიაშვილი, ქ. ბო-ჭორიშვილი, რ. გოგებაშვილი, ვ. მაზმი-შვილი, ნ. საღარაძე, ა. თავზარაშვილი, თ. ფერაძე და სხვები.

ეჭვს გარეშეა დედაქალაქის მაყურე-ბელი ინტერესით შეხვდება გორის თე-ატრის გასტროლებს.

ე. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

• • •

[გუ]შინ თბილისში ჩამოვიდა გ. ერისთავის სახე-[ლო]ბის გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. [თე]ატრის კოლექტივს თბილისის ვაგზალზე გულ-[თ]ბილი შეხვედრა გაუმართეს დედაქალაქის ლი-[ტე]რატურისა და ხელოვნების მუშაკებმა — ხე-[ლ]ოვნების საქმეთა სამმართველოს, საქართვე-[ლო]ს თეატრალური საზოგადოების, რუსთაველის [სა]ხელობის სახელმწიფო თეატრის, სახელმწიფო [ფი]ლარმონიის, სანკულტურის თეატრის, აგრეთ-[ვ]ე თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ბათუ-მის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის, პრესის წარმომადგენლებმა.

გორის თეატრის კოლექტივი, რომლის შე-მადგენლობაში 60 კაცია, თბილისში დარჩება 5 ივლისამდე. თეატრი სპექტაკლებს გამარ-თავს მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში და დედაქალაქის სხვა თე-ატრებში.

საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრის კოლექ-ტივს ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახუ-რებული მოღვაწე, თეატრის მთავარი რეჟისო-რი ვ. ყუშიტაშვილი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

[ამ] წელს სსრ კავშირის კინემატოგრა-[ფ]იის სამინისტრომ კინოთეატრების [ფ]ართო მშენებლობა გააჩაღა ჩვენი [ქვ]ეყნის ქალაქებსა და რაიონულ ცენტ-[რე]ბში.

საბჭოთა მაყურებელნი მიიღებენ 75 [ა]ხალ, საუცხოოდ მოწყობილ კინო-[თე]ატრს, რომელთა ადგილების საერ-[თ]ო რაოდენობა 18.000-ს აღემატება. [გა]რდა ამისა, ამ მიზნით გამოყენებული [ი]ქნება 29 შენობა. მნიშვნელოვნად [გა]იზრდება საზაფხულო კინოქსელი. მიმ-[დ]ინარე წელს საექსპლოატაციოდ გადა-[ეც]ემულ იქნება 52 დახურული საზაფ-[ხუ]ლო კინოთეატრი და მოედანი.

ამურის ნიკოლაევსკში, ველიკიე ლუ-კში, გორკში, ქალაქ პროკოპიევსკში უკ-ვე გაიხსნა ახალი კინოთეატრები. ამ კინოთეატრებს აქვთ ნათელი, ვრცელი დარბაზები, კეთილმოწყობილი ფოიეე-ბი საკონცერტო ესტრადებით.

იმ კინოთეატრების შენობათა ფასა-დებს, რომლებიც სტალინოში, სარა-ტოვში, სოჭში, სტალინგრადში, კიევ-ში, ყარაგანდაში, ვილნიუსსა და სტალინაბადში შენდება, დაამშვენებს ლამაზი სვეტები, მხატვრული ნაძერწი, მონუმენტური მოხატულობა. (საქ-დესი).



ლაგოდეხის რაიონის აფენის მტს-მა მასობრივად დაიწყო ხორბლის მოსავლის აღება. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის თვითმავალი კომბაინით კომბაინერი აკაკი ცქიფურიშვილი სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე იღებს 28 ცენტნერ ხორბალს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲪᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ

ხორბლეულის მოსავლის აღებას მო-უმზადებელი შეხვდა წნორის მტს-ი (დირექტორი ამხ. გ. გოძიაშვილი). მუ-შაობის დაწყების პირველმა დღეებმა ცხადყო, რომ კომბაინების ერთი ნაწი-ლი ცუდად იყო შეკეთებული. კომბაი-ნები ხშირად დგანან ან თვითეული 5-6 ჰექტარს იღებს დღეში. სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლ-მეურნეობაში № 4 კომბაინმა (კომბაი-ნერი ვ. ალვინოვი) ხუთ დღეში მხოლოდ 30 ჰექტარი მოსავალი აიღო. არ ხდება მომკილი პურის აღრიცხვა. კომბაინე-რი ბ. ჩუთლაშვილი ამ კოლმეურნეო-ბის მ. ბაკაშვილის ბრიგადაში თვით-ნებურად შევიდა და დაიწყო მკა, რო-ცა მას გრაფიკით სხვა ნაკვეთში უნდა ემუშავნა. ბრიგადას ამ სამუშაოს დაწ-ყება 2-3 დღის შემდეგ ჰქონდა გათვა-ლისწინებული. მინდვრად დარჩენილი თავთავების შეგროვება არავის გახსე-ნებია. აქ კომბაინებით აღებული პუ-რის აღრიცხვაც მოუწესრიგებელია. წნორის რუსთაველის სახელობის კოლ-მეურნეობაში 10, 11 და 12 ივნისს გიორგი ნიკუაშვილის კომბაინი გაცდა. ამ კომბაინის რემონტის ხარისხი კი მტს-ის კომისიამ კარგად შეაფასა.

კომბაინერი სოლომონ ნარინდოშვი-ლი შეუფერხებლად იღებს დღეში 16-18 ჰექტარს. ხორბლის მოსავალი ჰექ-ტარზე 12-15 ცენტნერს აღწევს. თვით-მავალ კომბაინს, რომელსაც ჩ. ნარინ-დოშვილი მართავს, რატომღაც მოუხს-ნეს ნამჯისა და ბზის შემგროვებელი. ამის გამო მრავალი კოლმეურნე ნამჯის შეგროვებას უნდება. იოსებ ჯავაშვი-ლის ბრიგადაში კომბაინერმა ნიკო ალა-დაშვილმა „სტალინეც—6"-ით 60 ჰექტარზე აიღო მოსავალი, მაგრამ ნამ-ჯას დიდი რაოდენობით აყოლებს მარ-ცვალს.

წნორის მტს-ის მუშაკებმა სათანა-დო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და უზრუნველყონ კომბაინების სრული დატვირთვით მუ-შაობა, მოსავლის უდანაკარგოდ აღე-ბა.

გ. ᲧᲐᲯᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘᲐ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. (საქ. კორ.). მცხეთის რაი-ონის სოფელ წილკნის ბერიას სახე-ლობის კოლმეურნეობამ შარშან შრო-მადღეზე 9 კილოგრამზე მეტი მარცვ-ლეული გაანაწილა. მრავალმა კოლ-მეურნემ გამომუშავებულ შრომა-დღეებზე 6-7 ტონა მარცვლეული მიი-ღო, გარდა სხვა პროდუქტებისა.

წელსაც კარგად მოუარეს ნათესებს და პურის ბარაქიანი მოსავალი აქვთ. კოლმეურნეები ვარაუდობენ, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 17-18 ცენტნერ ხორბალს, ხოლო ცალკეულ ჰექტარზე 20-25 ცენტნერს.

კოლმეურნეობა მზად ხვდება ბარა-ქიანი მოსავლის აღებას. აქ პურეულს ძირითადად კომბაინებით აიღებენ, მაგრამ სამუშაოთა ნაწილი კოლმეურ-ნეთა ძალებითაც შესრულდება. კოლ-მეურნეთა გადაწყვეტილებაა მოსავალი აიღონ 7-8 დღეში და პირველი გაანა-ლეწი საუკეთესო ხარისხის მარცვლეუ-ლი ჩააბარონ სახელმწიფოს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲡᲮᲘ ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საქ. კორ.). საქართვე-ლოს კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ქალაქის მშრომელებს 5 თვის განმავლობაში ინდივიდუალუ-რი ბინათმშენებლობისა და კაპიტა-ლური შეკეთებისათვის სესხად მისცა 1.000.770 მანეთი.

წელს კაპიტალური რემონტი გაუ-კეთდა 80 სახლს, ხოლო ინდივიდუა-ლური მშენებლობის გზით აგებულია 78 სახლი.

ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 16 ივნისი. (საქდესი). „ჩინელი ხალ-ხის მეგობარს" უწოდებს ჩინეთის საზოგადოებ-რიობა დიდ რუს მწერალს, კაცობრიობის განთა-ვისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლს ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის.

რუს მწერალთა შორის გორკი ყველაზე ცნო-ბილი და საყვარელი მწერალია ჩინეთში.

გორკის ნაწარმოებთა პირველი თარგმანები ჩინეთში დაიბეჭდა 1907 წელს. შემდგომ წლებ-ში ჩინეთის მოწინავე ადამიანებმა, რუსული ლიტერატურის გულმხურვალე პროპაგანდისტებ-მა, და მათ შორის ახალი ჩინური ლიტერატურის მამამთავარმა მწერალმა ლუ სინმა, გორკის ათო-ბით ნაწარმოები თარგმნეს. ახლა დიდი პროლე-ტარული მწერლის ნაწარმოებნი შეიძლება ნა-ხოთ ჩინეთის ყველა ბიბლიოთეკაში. პიესები „ნაძირალნი" და „მდაბიონი" არაერთგზის დად-გმულა ჩინური თეატრების სცენებზე.

ჩინელ ხალხს რუსული ლიტერატურა თავის ხელმძღვანელად და მეგობრად მიაჩნია.

დიდი იყო გორკის გავლენა ჩინეთის მოწინავე მწერლებზე, კერძოდ, ლუ სინზე—თავისი ხალ-ხის ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლზე, ნამ-დვილ ჰუმანისტზე, ვისი ნაწარმოებნიც, ისევე როგორც გორკის ნაწარმოებნი, გამსჭვალულია ხალხისადმი სიყვარულით და მტრებისადმი სი-ძულვილით.

აღნიშნავენ რა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გარდაცვალების 15 წლისთავს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფი-ლებანი აწყობენ მრავალ მოხსენებას, საუბარსა და დისპუტს გორკის შემოქმედებისა და თანამე-დროვე ჩინური ლიტერატურის განვითარებაში მისი როლის შესახებ. ამ დღეებში დედაქალაქის საზოგადოებრიობისათვის წაკითხულ იქნა მოხ-სენება „გორკი — პროლეტარული ლიტერატუ-რის ფუძემდებელი".

გორკის დღეებში ჩინურ ენაზე დაიბეჭდა კრე-ბული „გორკის სტატიები და პამფლეტები", რომელიც მან ჩანმა თარგმნა. განზრახულია გორკის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემა.

ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 15 ივნისი. (საქდესი). მაქსიმ გორკი მონღოლი ხალხის ერთ-ერთი უღრესად საყვარელი მწერალია. მონღოლურ ენაზე თარგმნილია და სხვადასხვა გამოცემით ბევრჯერ დაბეჭდილა „სიმღერა გრიგალაზე", „სიმღერა შევარდენზე", „დედაბერი იზერგილი", „მაკარ ჩუდრა", „ჩემი უნივერსიტეტები" და დიდი მწერლის სხვა ნაწარმოებნი. გორკის წიგ-ნებს საპატიო ადგილი უკავიათ ბიბლიოთეკებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში, მათ დიდად ეტა-ნებიან მკითხველები. გორკის ნაწარმოებნი შეი-ძლება ნახოთ მესაქონლე არატების ბევრ კა-რავში ჩვენი ქვეყნის უღრესად დაშორებულ აიმაკებში.

ემზადებოდა რა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გარდაცვალების მეთხუთმეტე წლისთავისათვის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მწერალთა კავშირმა მონღოლურ ენაზე გამოსაცემად მოამ-ზადა რომანი „დედა" და გორკის რჩეული მოთ-ხრობების კრებული. უახლოეს დღეებში ეს წიგ-ნები გამოვა.

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 17 ივნისი. (საქდესი). მონღოლი ხალხი ფართოდ აღნიშნავს დიდი რუსი მწერლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გარდაცვალების მე-15 წლისთავს. მონღოლე-თის გაზეთები მოწინავე სტატიებს უძღვნიან დიდი ჰუმანისტის გარდაცვალების წლისთავს.

მოწინავე სტატიაში, სათაურით „კომუნიზ-მისათვის მგზნებარე მებრძოლი", გაზეთი „უნენი" წერს, რომ გორკი მთელი თავისი ნათელი ცხოვრების მანძილზე დაუღალავი მე-ბრძოლი იყო მილიონობით და მილიონობით მშრომელთა ბედნიერებისათვის, იგი იყო თა-ვისი დიდი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი.

მოყავს რა ციტატა გორკის ნაწარმოებიდან „ყვითელი ეშმაკის ქალაქი" იმის შესახებ, რომ, ამერიკაში ცხოვრება არის ისეთი ცხოვ-რება, რომელიც მოკლებულია მზეს, სიმღე-რასა და ბედნიერებას, ცხოვრება მძიმე შრო-მის ტყვეობაში, გაზეთი წერს: „რა ძლიერად გაისმის გორკის ეს სიტყვები [...] როდესაც ამერიკელი იმპერიალისტები [...] გნენ მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც თავისუფლების ჩამხშობნი, როგორც პირსისხ-ლიანი დამმონებელნი არა მარტო თავისი ქვეყნის ხალხისა, არამედ დედამიწის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხალხებისაც".

დასასრულ გაზეთი წერს: „მთელი მონღო-ლი ხალხი, მისი მწერლები, მისი კულტურის მოღვაწენი დიდ საბჭოთა ხალხთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად წმი-დად ინახავენ გულში ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის, რევოლუციის გრიგალის, დიდი ჰუმა-ნისტი მწერლისა და კომუნიზმისათვის მგზნე-ბარე მებრძოლის ხსოვნას".

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 16 ივნისი. (საქდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობა და პრესა კვლავ დიდ ყურად-ღებას აქცევენ დიდი რუსი მწერლის, მშვიდობი-სათვის მგზნებარე მებრძოლის მაქსიმ გორკის გარდაცვალების 15 წლისთავს.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი" სტატიაში სა-თაურით „მაქსიმ გორკი აღაფრთოვანებს მშვი-დობისათვის მილიონობით მებრძოლს" წერს: ფა-შიზმის წინააღმდეგ ადამიანთა ბედნიერებისათ-ვის დაუღალავმა მებრძოლმა, სოციალისტური ჰუმანიზმის მგზნებარე მქადაგებელმა გორკიმ იცოდა, რომ ადამიანისადმი სიყვარული უნაყო-ფოა, თუ იგი შეერთებული არ არის სიძულვი-ლთან მისი მოსისხლე იმპერიალისტი მტრებისად-მი. გორკი მუდამ მშვიდობისათვის მებრძოლთა შორისაა, აღაფრთოვანებს მათ, იგი მათი დროშაა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის დიდ კე-თილშობილურ საქმეში.

მთელ რიგ მასალებს გორკის შესახებ ათავ-სებს გაზეთი „ლიტერატურენ ფრონტი". გაზეთი უკანასკნელ ნომერში წერს: გორკი დღესაც, გარ-დაცვალების 15 წლის შემდეგ, ცოცხლობს ჩვენს საქმეებში, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ᲡᲝᲤᲘᲐ, 17 ივნისი. (საქდესი). უდიდესია დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის გავლენა ბულგარეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ბულგარულ ლიტერატურაზე. მის შესანიშნავ ნაწარმოებებს შეუნელებელი ინტერესით კით-ხულობენ მშრომელთა უღრესად ფართო წრე-ები. ისინი განსაკუთრებით დიდ გავლენას ახ-დენდნენ და ახდენენ მუშების, გლეხების, ინ-ტელიგენციისა და განსაკუთრებით კი ახალ-გაზრდობის პროგრესულ შეხედულებათა ჩამო-ყალიბებაზე. უკანასკნელი ხუთი წლის განმავ-ლობაში ბულგარეთში გამოცემულია მაქსიმ გორკის 42 ნაწარმოები, 450 ათას ცალზე მე-ტი ტირაჟით.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 15 ივნისი. (საქდესი). რუმინელ მკითხველს უყვარს დიდი რუსი მწერლის მ. გორკის ნაწარმოებნი. გორკის წიგნები რუმინეთ-ში ათეულ ათასობით ცალად გამოდის. გამომცე-მლობა „კარტია რუსამ" სამ გამოცემად გამოუ-შვა „ბავშვობა" 26 ათასი ცალი საერთო ტირა-ჟით, „ხალხში" და „ჩემი უნივერსიტეტები" — 68 ათას ცალად. 30 ათას ცალად გამოვიდა რუ-მინულ და უნგრულ ენებზე რომანი „დედა".

მ. გორკის მგზნებარე მიმართვა კულტურის მოღვაწეებისადმი „ვისთან ხართ თქვენ, კულ-ტურის ოსტატებო?" დაბეჭდილია 15.000 ცა-ლად.

დიდი წარმატებით სარგებლობს გორკის ნა-წარმოები „ყვითელი ეშმაკის ქალაქი", რომე-ლიც ამხილებს ამერიკის იმპერიალიზმს. გამომ-ცემლობა „კარტია რუსამ" მასობრივი ტირაჟით გამოუშვა აგრეთვე გორკის ნაწარმოებნი „არტა-მონოვების საქმე", „მზის შვილები", „ვარენკა ოლესოვა", სტატიების კრებული და ბევრი სხვა ნაწარმოებნი.

მ. გორკის გარდაცვალების 15 წლისთავთან და-კავშირებით გამომცემლობა „კარტია რუსა" უნ-გრულ ენაზე უშვებს გორკის შესახებ საბჭოთა მწერლების სტატიების კრებულს და რომან „დე-დის" ახალ გამოცემას.

რუმინეთის თეატრების სცენებზე დიდი წარ-მატებით დაიდგა გორკის შესანიშნავი პიესები: „ნაძირალნი", „მტრები", „ეგორ ბულიჩოვი და სხვები", „ვასა ჟელეზნოვა".

[...]ხზულებებიდან, ლ. ბერიას შრომე-[ბი]დან, საკავშირო კომუნისტური პარ-[ტ]იის (ბოლშევიკების) ისტორიის ქარ-[თ]ული თარგმანიდან, საბჭოთა კავში-[რი]ს ისტორიის მოკლე კურსიდან, აკა-[დ]ემიკოს ივ. ჯავახიშვილის, პროფესორ [ნ.] ბერძენიშვილისა და აკადემიკოს [ს.] ჯანაშიას „საქართველოს ისტორიის [სა]ხელმძღვანელოდან", აკადემიკოს ივ. [ჯ]ავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკ-[რე]ბილი „საქართველოს შინამრეწვე-[ლ]ობის მასალებიდან", კლასიკური და [თა]ნამედროვე ქართული საბჭოთა [მწ]ერლობის მრავალრიცხოვანი ნიმუშე-[ბი]დან, სამეცნიერო და პოლიტიკური [ლ]იტერატურიდან, პრესიდან და სხვ. [გა]მოყენებულია აგრეთვე რამდენიმე [ნა]თარგმნი მხატვრული ნაწარმოები. [ავ]ტორები ყველგან დასახელებულია. [ლ]ექსიკონში საილუსტრაციო მასალად [ფ]ართოდ გამოყენებულია აგრეთვე ქარ-[თ]ული ზეპირსიტყვაობის ნიმუშები: [ა]ნდაზები, ლექსები, ანდაზები, გამო-[ცა]ნები და სხვა.

[ა]ქამდე ლექსიკონში ზმნურ სალექ-[სი]კონო ერთეულად მხოლოდ ზმნისაგან [ნა]წარმოები სახელი — მასდარი იყო [წა]რმოდგენილი. ამ ლექსიკონის ძირი-[თა]დი თავისებურება ის არის, რომ არ-[სე]ბული ტრადიციის წინააღმდეგ ზმნის [ლ]ექსიკურ ერთეულად მასში აღებუ-[ლი]ა აწმყოს (მყოფადის) მესამე პირის [ფ]ორმა და ამასთან მთელი სისრულით [ა]რის წარმოდგენილი ქართული ზმნის [სი]მდიდრე: ცალკე ლექსიკურ ერთეუ-[ლ]ებად წარმოდგენილია მოქმედებითი [და] ვნებითი გვარის ფუძეები, ნეიტრა-[ლ]ური, სასუბიექტო და საობიექტო [ქც]ევის ფორმები, კაუზატივი, სტატი-[კუ]რი და დინამიკური ფორმები. ეს წე-[ს]ი საშუალებას იძლევა მთელი სისრუ-[ლი]თ იქნას წარმოდგენილი ქართული [ე]ნის ლექსიკური შესაძლებლობები [და] გათვალისწინებულ იქნას ქართული [ე]ნის ურთულესი აგებულება.

[ლ]ექსიკონში შეტანილია თანამედრო-[ვე] ქართული სალიტერატურო ენის [სი]ტყვათა ძირითადი მარაგი, აგრეთვე [ის]ეთი კუთხური სიტყვები, რომლებიც [და]დასტურებულია მხატვრულ ლიტე-[რ]ატურაში და რომლებიც შეიძლება [გა]მოყენებულ იქნას სალიტერატურო [ე]ნის ლექსიკური შემადგენლობის გა-[მ]დიდრებლად.

[ც]ალკე ერთეულებად ლექსიკონში [შე]ტანილია სახელები საგნისა, თვისე-ბისა, რიცხვისა, მოქმედებისა, ნაცვალ-სახელები, ზმნები, ზმნისართები, კავ-შირები, შორისდებულები, ნაწილაკე-ბი. ამასთან ყველას (გარდა სახელისა და ზმნისა) მიწერილი აქვს შესაფერი გრამატიკული კვალიფიკაცია. სახელს უწერია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (თავისებური წარმოების შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმაც), ხოლო ზმნას—ნამყო ძირითადისა და თურმე-ობითი პირველის ფორმები.

სახელები წარმოდგენილია მხო-ლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნ-ვაში, ზმნა, როგორც ითქვა,—აწმყოს (ან მყოფადის) მესამე პირის ფორმით. ორივე შემთხვევაში ლექსიკურ ერთე-ულად მიჩნეულია ფუძე. სახელობითი ბრუნვის ნიშანი და პირის ნიშნები (თავსართ-ბოლოსართები) ანბანზე გაწ-ყობისას მხედველობაში მიღებული არ არის.

მნიშვნელობათა დადგენისას, სადაც კი ეს მოსახერხებელია, გამოყენებუ-ლია სინონიმები და საპირისპირო მნი-შვნელობის მქონე სიტყვები.

რომ თვალსაჩინო იყოს, თუ როგო-რია სიტყვის განმარტების აგებულება ლექსიკონში, წარმოვადგენთ ორ ნი-მუშს:

აერთებ-ს (აერთა, უერთებია) გრდმ. ერთად კრებს. მოწაფე მრავალნიშნიან რიცხვებს აერთებს. აკავშირებს. სატე-ლეფონო ქსელი აერთებს რაიონის ცენტრს სოფლსაბჭოებთან. — ქუჩის დემონსტრაციაში კი მუშები ერთბაშად აერთებენ თავის ძალას **(სტალინი).** თავს აერთებს ტანთან მოქნილი ყელი **(ი. გოგებაშვილი).** გათხრილ იქნა თეთრზღვა-ბალტიის არხი, რომელიც ბალტიის ზღვას თეთრ ზღვასთან აერ-თებს **(საბჭოთა კავშირის ისტორია),** აქ მუშაობა... გვაერთებდა ყველას **(დ. კლდიაშვილი).**

ბელად-ი (ბელადისა) 1. წინამძღო-ლი, მეთაური. დიკლოს შეყრილა ლაშ-ქარი, ბელადსა ლონდებიანო **(ხალხ.).** წინ მოუძღვებოდა ბელადი. შემდეგ ოთხ-ოთხი (ცხენოსანი) დაწყობილი-ყვნენ **(ა. ყაზბ.).** წინ მიუქრით მათ ბე-ლადი მხარმაღალი, ბეჭიანი **(შ. მღვი-მელი).** 2. საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი საზოგადოებრივი მოძ-რაობისა, მიმდინარეობისა, პარტიისა, ხალხისა. (გენიოსი) გულუშიშრად მი-დის წინ, როგორც ბელადი, წინ მიუძ-ღვის ხალხსა და უნათებს თავისი ჭკუის სხივებით გზასა **(ილია).** 1924 წ. 21 იანვარს გორკაში, მოსკოვის ახ-ლოს, გარდაიცვალა ჩვენი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, ლენინი **(პარტ. ისტ.).** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადი დიდი სტალინი. მუდამ გიმღერ გამარჯვებას, შენ, ბელადო სტალინ! **(ს. შანშ.).** დრო-შას ეხატა ბელადი: უბრალო, მტკიცე მღიმარი! **(გ. ლეონ.).** ხალხების ბე-ლადს — ჩემი ლექსის ყოველი ბგერა **(ვ. გაფრ.).** კაცი, ბელადად შობილი, ფოლადაურის გვარისა **(ა. აბაშ.).** ამ დროს გაისმა ბელადის სიტყვა, რო-გორც ქუხილი გაზაფხულისა **(ა. აბაშ.).** მე აქ ვიქნები და თბილისიდან მი-ვაწვდი ჩემს ხმას ბელადს პირველად **(ი. გრიშ.).** ჩვენი ბელადის ძლიერი ხელი თვით გაზაფხულის სუნთქვას გა-ნაგებს **(კ. კალ).** იზრდება და იფოლა-დებს გულს ბელადის საქმით, სიბრძნით [საბჭოთა არმია] **(გ. ქაჯაძ.).** ვფიცავ ჩონგურზე დამღერილ ნანას, ბელადის მართალ საქმეს და სახელს! **(შ. აფხ.).** და საქართველომ იგრძნო მარჯვე-ნა, ბელადის ნების გამომხატველი **(გ. აბაშ.).** ხელმძღვანელი მესვეური. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელ-მძღვანელობას, ის ერთად ერთი ღირ-სეული ბელადი იქნება რუსეთის რე-ვოლუციისა **(სტალინი).**

იდიომატური და დამახასიათებელი გამოთქმები ცალკეა სიტყვის განმარ-ტებაში გამოყოფილი, სათანადო გან-მარტება ახლავს და ილუსტრაციები-თაა დოკუმენტირებული.

ზმნურ ერთეულებს გრამატიკული დახასიათება ახლავს (გარდამავალი, გარდაუვალი, ვნებითი გვარისა, სასუ-ბიექტო და საობიექტო ქცევა, დინამი-კური, სტატიკური). ამასთან, ვნები-თებთან, კაუზატივთან, სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებთან, აგრე-თვე ნაზმნარ სახელებთან (მასდართან და მიმღეობასთან) ნაჩვენებია ამოსავა-ლი ზმნაც.

განმარტებებს ერთვის სათანადო კვალიფიკაცია, რომელიც მიუთითებს ან ემოციურ იერს, რომელიც სიტყვას ახლავს (პატივისცემა, ირონია...), ან დარგს, სადაც ეს სიტყვა იხმარება (მა-თემატიკა, ტექნიკა...), სიტყვის სიახ-ლეს ან სიძველეს, ან მის კუთხურობას.

ბერძნულ-ლათინური, ინგლისური, ფრანგული და სხვ. წარმოშავლობის სიტყვებთან ამ ენათა აღნიშვნის გარ-და ნაჩვენებია ის ენაც, რომლის გზი-თაც ეს სიტყვაა შემოსული ქართულ-ში (მაგალითად: ბალკონი [იტ. **balcone** რუს. ენის მეშვეობით]; ბლუზა, ბლუზი (ფრან. **blouse** რუს. ენის მეშ-ვეობით]; გალოპი [ფრანგ. **galop** რუს. ენის მეშვეობით]; და ა. შ.).

მცენარეებისა და ცხოველების სახე-ლებს თან ახლავს შესაბამისი ლათი-ნური ტერმინები.

ლექსიკონის I ტომს დართული აქვს მთავარი რედაქციის ვრცელი წინასიტ-ყვაობა, სიტყვა-სტატიის აგებულების დახასიათება და ლექსიკონით სარგებ-ლობის წესები, შემოკლებათა განმარ-ტება და ლექსიკონის მთავარი რედაქ-ტორისა და I ტომის რედაქტორის პროფესორ არნ. ჩიქობავას წერილი: „ქართული ენის ზოგადი დახასია-თება".

პროფესორ ჩიქობავას ეს წერილი წარმოადგენს ვრცელ მიმოხილვას და შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1. ახალი სალიტერატურო ენის წარ-მოქმნისათვის, 2. ქართული ენის ზო-გადი ენათმეცნიერული დახასიათება და 3. ბრუნება და უღვლილება ქარ-თულში.

ამ წერილის ლექსიკონისათვის დარ-თვის აუცილებლობა სავსებით ნათე-ლია. თანამედროვე ქართული სალი-ტერატურო ენის მომხმარებლისათვის სრულიად აუცილებელია გარკვეული ცოდნა ჰქონდეს ამ ენის წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ. ასევე აუცილებელია ქართუ-ლი ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ჩვენება იმისა, თუ რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ქარ-თულს, რა არის ამ ენის ძირითადი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. მესამე ნაწილი სრულიად აუცილებელია იმი-სათვის, რომ მკითხველმა შეძლოს სიტ-ყვა-სტატიაში წარმოდგენილი მთელი რიგი საკითხის გარკვევა, რომლებიც სახელისა და ზმნის მორფოლოგიურ აგებულებას ეხება.

პირველ ნაწილში სრული დამაჯე-რებლობით არის ნაჩვენები, რომ ახა-ლი ქართული სალიტერატურო ენა ისახება XII საუკუნიდან. ახალი სალი-ტერატურო ქართულისათვის საორიენ-ტაციოა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება — ქარ-თლური და კახური კილოები. XVIII საუკუნეში ანტონ I და მისი სკოლის მოღვაწეობის შედეგად ქართული სა-ლიტერატურო ენის განვითარების ხაზი გამრუდდა.

ანტონ I სტილი მწერლობაში გა-ბატონებული იყო XIX საუკუნის მესა-მოცე წლებამდე, როდესაც ილია ჭავჭა-ვაძემ სასტიკად გაილაშქრა ანტონის მიმდევართა წინააღმდეგ და კატეგო-რიულად მოითხოვა, რომ სალიტერატუ-რო ენას ორიენტაცია ბუნებრივ სასა-უბრო ხალხურ მეტყველებაზე აეღო. ბრძოლა ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: ახალი სალი-ტერატურო ქართული საბოლოოდ დამ-კვიდრდა მწერლობაში, დაიწყო სალი-ტერატურო ენის განვითარების ახალი ეტაპი. ამ ენის შემდგომს განვითარე-ბას წარმოადგენს ახალი ქართული სა-ლიტერატურო ენა საბჭოთა პერიო-დისა.

გამოკვლევის მეორე ნაწილში მო-ცემულია ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება. აქ გან-ხილულია ყველა თავისებურება, რო-მელიც ნიშანდობლივია ქართული ენის ბგერათა სისტემისათვის და სიტყვისა და წინადადების აგებულებისათვის.

გამოკვლევის მესამე ნაწილში წარ-მოდგენილია ქართული ენის სახელის ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკ-მაოდ ვრცელი დახასიათება და ბრუნე-ბისა და უღვლილების პარადიგმები. აქ განხილულია სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების ყველა ძირი-თადი საკითხი. განსაკუთრებულ ყუ-რადღებას იპყრობს მთელი რიგი სა-კითხების სრულიად ახალი გაგება. ასეთებია: ხმოვანფუძიან ბოლოკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქ-მედებით ბრუნვებში ბოლოკიდური ი-ს კვალიფიკაცია, ზმნების დაყოფა დინამიკურებად და სტატიკურებად, სტაბილური და ლაბილური წყობის გარჩევა გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებში და ბევრი სხვა.

„განმარტებითი ლექსიკონის" მეორე ტომს წამძღვარებული აქვს ლექსიკო-ნის მთავარი რედაქტორის პროფესორ არნ. ჩიქობავას ვრცელი წერილი „ი. ბ. სტალინის შრომები ენის შესა-ხებ და მათი მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის" და II ტომის რედაქტორის პროფესორ გ. წერეთლის წინასიტყვაობა. მთავარი რედაქტორის წერილში ნაჩვენებია ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების განუზომე-ლი მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეც-ნიერებისათვის და განხილულია ენათ-მეცნიერების სტალინური კონცეფციის ძირითადი დებულებები. ტომის რე-დაქტორის წინასიტყვაობაში განხილუ-ლია ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოშობისა და განვითარების საკითხი და დახასიათებულია ტომის შედგენასა და რედაქტირებაზე გაწეუ-ლი მუშაობა.

ჩვენ შევეცადეთ ვრცლად დაგვეხა-სიათებინა ლექსიკონის აგებულება და ვრცლადვე გადმოგვეცა მისთვის დარ-თული გამოკვლევების ძირითადი დე-ბულებები. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად მყარ მეცნიერულ სა-ფუძველზეა აგებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი".

ქართულ ენათმეცნიერებას ქართვე-ლი ხალხის წინაშე ბევრი მოვალეობა აწევს. ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას, ყველაზე სერიოზულ და ამასთან საპა-ტიო მოვალეობას წარმოადგენდა ქარ-თველი მკითხველი საზოგადოებისათ-ვის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიწოდება. განმარტებითი ლექსიკონის უქონლობა ყველაზე მწვა-ვედ იგრძნობოდა. ამჟამად ამ ხარვეზის ამოვსება იწყება.

ქართველ ენათმეცნიერთა წინაშე მეტად საპატიო და სერიოზული ამო-ცანა დგას. ეს არის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ყველა ტომის გამოცემა უახლოეს ხანში. ქარ-თველი ენათმეცნიერები იმედოვნებენ, რომ წარმატებით შეასრულებენ ამ სა-პატიო ამოცანას. ამის თავდებია ის მუდმივი ხელმძღვანელობა და დახმა-რება, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი უწევს ქართ-ველ ენათმეცნიერებს. ამის თავდებია ის დიდი ენთუზიაზმი და მეცნიერული მუშაობის არაჩვეულებრივი აღმავლო-ბა, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერე-ბაში და მთელ საბჭოთა ხალხში გამოი-წვია ი. ბ. სტალინის გენიალური ენათ-მეცნიერული შრომების გამოქვეყნე-ბამ.

ᲘᲕ. ᲒᲘᲒᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე წარმატებით იგერიებენ 38-ე პარალელის ჩრდილოეთით ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებულ კონტრიერიშებს და მძიმე ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

16 ივნისს თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 7 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ფხენიანი, 17 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე კვლავ წარმატებით იგერიებენ 38-ე პარალელის ჩრდილოეთით ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებულ იერიშებს, მძიმე ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ფრონტებზე სახალხო არმიის ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს ორი დღის—15 და 16 ივნისის ბრძოლებში 10-ზე მეტი იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მტერს ცოცხალი ძალის მხრივ.

სახალხო არმიის ღამის ბომბდამშენი ავიაციის ნ შენაერთმა 16 ივნისს ღამით დაბომბა ამერიკელთა აეროდრომი სუვონში.

17 ივნისს თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

საომარი მოქმედება კორეაში

ვაშინგტონი, 16 ივნისი. (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის სანაპირო ბატარეებმა „ზიანი მიაყენეს" ამერიკის საესკადრო ნაღმოსან „ტომპსონს". საესკადრო ნაღმოსნის ეკიპაჟში არიან მოკლულები და დაჭრილები. საესკადრო ნაღმოსანი „ტომპსონი" ამერიკელთა მერვე გემია, რომელთა შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ განაცხადა, რომ ისინი ჩაძირულ იქნენ ან დაზიანდნენ კორეაში საომარი მოქმედების დროს.

ფხენიანის ახალი ბარბაროსული დაბომბვა

ფხენიანი, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს ბაგირის ამერიკელმა მეკობრეებმა მასირებული თავდასხმა მოაწყეს ფხენიანზე. რეაქტიულ ავიაგამანადგურებელთა საფარქვეშ 14 მფრინავმა ციხემ ჩამოყარა 700-მდე ბომბი, მათ შორის 50 ბომბი დაყოვნებული მოქმედებისა. მფრინველი თვითმფრინავები საცხოვრებელ სახლებს უშენდნენ.

ქალაქის უბნები შავმა კვამლმა დაფარა. ქალაქის სხვადასხვა რაიონში მთელ დღეს ისმოდა დაყოვნებული მოქმედების ბომბების აფეთქების ხმა. ქალაქის სადონრის, მნსურის, კრიმბრორის უბნებსა და ქალაქის მიდამოებში ამერიკელი მკვლელების ხელით დაიღუპა 60 მშვიდობიანი მცხოვრები, უმთავრესად ქალები და ბავშვები, ათობით ადამიანი დაიჭრა. ქალაქში დაინგრა 120-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

მშვიდობის სრულიად უნგრეთის საბჭოს სხდომა

ბუდაპეშტი, 16 ივნისი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში გაიმართა მშვიდობის სრულიად უნგრეთის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის [illegible]

ტოლიატის დეპეშა ვილჰელმ პიკისადმი

რომი, 16 ივნისი. (საკდესი). ბონის კანცლერის ადენაუერის რომს ჩასვლის გამო პალმირო ტოლიატიმ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს ვილჰელმ პიკს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ამ დღეებში რომში ერთმანეთს შეხვდებიან ადენაუერი და დე გასპერი, რომლებსაც ამერიკის იმპერიალიზმი იყენებს იმისათვის, რომ ახალი ინტრიგები მოაწყოს იტალიელი ხალხისა და გერმანელი ხალხის კეთილდღეობისა და მშვიდობის წინააღმდეგ.

ამ მომენტში მე მინდა დავარწმუნო გერმანიის მუშები, მშრომელები და ყველა პატიოსანი პატრიოტი, აგრეთვე მშვიდობის მეგობრები, რომ იტალიელი ხალხის აქტიური ნაწილის უმეტესობა ამ ინტრიგების წინააღმდეგია. ჩვენ ვემხრობით გერმანელი ხალხის ერთიანობას და დემოკრატიული გერმანიის აღორძინებასა და განმტკიცებას. მთელი იტალიელი ხალხი მტკიცედ ეწინააღმდეგება იმას, რომ აღდგენილ იქნას ამერიკელი იმპერიალისტების სამსახურში მყოფი გერმანიის მილიტარიზმი, როგორც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის პროვოკაციის იარაღი.

მიუხედავად დაშინებისა და სიყალბისა კლერიკალური მთავრობის მხრივ, იტალიელ ამომრჩეველთა თითქმის 40 პროცენტი დაირაზმა უკანასკნელი არჩევნების დროს მშვიდობის დასაცავად მებრძოლი პარტიების გარშემო. მშვიდობის ეს ძალები გამსჭვალული არიან მისწრაფებით ჩაშალონ ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების დანაშაულებრივი გეგმები. ისინი არასგზით არ დაუშვებენ, რომ იტალიამ მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიულ ავანტიურაში, მიესალმებიან გერმანელ ხალხს მშრომელთა სოლიდარობის სულისკვეთებით და უსურვებენ მას ახალ წარმატებებს გერმანიის ერთიანობისა და დემოკრატიზაციისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში".

ვილჰელმ პიკის დეპეშა პალმირო ტოლიატისადმი

ბერლინი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს პალმირო ტოლიატის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„გიპასუხებთ რა თქვენს დეპეშაზე, გთხოვთ გადასცეთ მთელ იტალიელ ხალხს, რომ ბატონ ადენაუერს არავითარი რწმუნება არა აქვს ილაპარაკოს გერმანელი ხალხის სახელით. მას არა აქვს ამჟამად ეს რწმუნება ისევე, როგორც 1929 წელს, როცა იგი „ოქროს სიტყვებით" ქებათაქებას ასხამდა მუსოლინის—იტალიის დამღუპველს. ადენაუერი მხოლოდ წარმომადგენელია გერმანიის იმპერიალიზმისა, რომლის აღორძინებასაც ცდილობენ, გერმანელი სამხედრო მრეწველებისა და ჰიტლერელი გენერლებისა. ამიტომ იგი კონსტიტუციის დარღვევითა და პოლიციური ტერორით ახშობს გერმანელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი. მაგრამ ხალხის გამოკითხვის დროს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელმა მოსახლეობამ სრული ერთსულოვნებით გამოთქვა აზრი რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. ეს დამაჯერებლად მოწმობს იმას, რომ მშვიდობისმოყვარე გერმანელი ხალხი ნებას არავის მისცემს გამოიყენონ იგი ამერიკელ იმპერიალისტთა და გერმანელ რევანშისტ პოლიტიკოსთა დანაშაულებრივი გეგმების ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მშვიდობის მსოფლიო ბანაკში გერმანელი ხალხი შეიტანს თავის წვლილს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მადლობას გიძღვნით გულითადი სოლიდარობისათვის, რომელიც თქვენ იტალიის მშვიდობისმოყვარე ძალების სახელით გამოუცხადეთ გერმანელ ხალხს გერმანიის დემოკრატიული ერთიანობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული იყავით, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელი ასევე თანაუგრძნობს მშვიდობის იტალიელ მომხრეთა ბრძოლას დე გასპერის მთავრობის ტერორისა და მატყუარა მანევრების წინააღმდეგ. სოლიდარული მშვიდობის პირობებში იტალიელი და გერმანელი ხალხები მოსპობენ სამხედრო შეთანხმებებს, რომლებსაც იხილავენ დე გასპერი და ადენაუერი დახურულ კარებში ამერიკელთა ბრძანებით".

დანიის კომპარტიის აღმასკომის მიმართვა ხალხისადმი

კოპენჰაგენი, 15 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის და დანიის კომპარტიის ფაქტიური აკრძალვის მომავალ 10 წლისთავთან დაკავშირებით დანიის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დანიელი ხალხისადმი მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: 1941 წლის 22 ივნისი ისტორიული თარიღია. ამ დღეს ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. მხოლოდ მრავალი წლის მძიმე ტანჯვისა და გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რომლის ტვირთიც უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხალხმა ზიდა, მშვიდობისმოყვარე ხალხებმა შეძლეს მშვიდობის მოპოვება.

1941 წლის 22 ივნისი დიდმნიშვნელოვანი თარიღია აგრეთვე დანიის ისტორიაში. მაოკუპირებელ ხელისუფლებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად დანიის მთავრობამ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა კავშირის მიმართ, სამსახურიდან გაათავისუფლა დანიელი ოფიცრები (რათა მათ შეძლებოდათ გერმანიის არმიაში სამსახური), ნება დართო შეეგროვებინათ დანიელი ჯარისკაცები ჰიტლერულ არმიაში და ამით შეუერთდა ნაცისტურ ფრონტს, რომელიც ცდილობდა დემოკრატიული ძალები მოესპო მთელ მსოფლიოში.

დანიისათვის ამ უცხო სამხედრო პოლიტიკის განხორციელების მიზნით მთავრობამ დაარღვია კონსტიტუცია, მოსპო დანიელი ხალხის დემოკრატიული უფლებები და პოლიცია გამოიყენა დანიის თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ.

ახლა, 10 წლის შემდეგ, ახლანდელი იმპერიალისტები ატლანტიკის დანიელ პოლიტიკანებთან თანამშრომლობით შეუდგნენ დანიის ფარულ ოკუპაციას და კვლავ წაართვეს დანიას ეროვნული დამოუკიდებლობა. აპირებენ რა კვლავ ფეხქვეშ გათელონ დანიელი ხალხის დემოკრატიული უფლებები, იმპერიალისტთა წრეები დანიას ითრევენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ საბედისწერო საომარ პოლიტიკაში.

მხოლოდ დანიელი ხალხის მიერ 10 წლის წინათ გაწეულმა მტკიცე წინააღმდეგობამ შეუშალა ხელი იმას, რომ დანიის მმართველ წრეებს დანია კატასტროფამდე და მოსპობამდე მიეყვანათ.

ჩვენი მოვალეობაა უზრუნველვყოთ მშვიდობა! მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძლიერი ზრდა იმას მოწმობს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ამას. ამჟამად ხალხებს საკმაო ძალა და შესაძლებლობა მოეპოვებათ იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ახალი ომის გაჩაღებას, თუ მათ ურღვევი მეგობრობა ექნებათ და მტკიცედ დაიცავენ მშვიდობას.

ვინც საბჭოთა კავშირისადმი მტრობას ავლენს, მისი მიზანია ახალი ომის მომზადება. დანიისათვის მშვიდობა და თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება, თუ განვამტკიცებთ დანიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავეთანხმოთ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაგვითრიონ.

ომის პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დანგრევა, ჩვენი ხალხის გაძარცვა მილიტარისტების მიერ და მისი უფლებებისა და თავისუფლების მოსპობა. ამიტომ მოგიწოდებთ: გასწიეთ წინააღმდეგობა, იბრძოლეთ მშვიდობისათვის, იბრძოლეთ დანიის განთავისუფლებისათვის!

საპროტესტო მიტინგი ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ

თეირანი, 16 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბაჰარისტანის მოედანზე მეჯლისის წინ გაიმართა მიტინგი, რომელსაც 40 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგზე გამოსულნი მოუწოდებდნენ მხარი დაეჭირათ მოსადიკის მთავრობისათვის. ისინი მკაცრად გმობდნენ ინგლისის მთავრობას ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის განხორციელების საქმეებში ჩარევისათვის.

ორატორები პროტესტს აცხადებდნენ სპარსეთის ყურეში ინგლისის სამხედრო ხომალდების ყოფნის შესახებ ირანში ინგლისის ელჩის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც მუქარას შეიცავდა. ორატორები აცხადებდნენ, რომ ირანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თვითონ მართოს თავისი ნავთის ყველა საწარმო და მოითხოვენ ინგლის-ირანის ყოფილი ნავთის კომპანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების წარმოებას ზუსტად ნაციონალიზაციის კანონის ფარგლებში.

მიტინგზე მიღებულ იქნა ორატორთა სიტყვების შესაბამისი რეზოლუცია.

უნგრეთის კოოპერატივების დელეგაციის ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

ბუდაპეშტი, 16 ივნისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირიდან ბუდაპეშტს დაბრუნდა სოფლად უნგრეთის კოოპერაციის კავშირის დელეგაცია. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროის ყოველმა საათმა, ყოველმა წუთმა, განაცხადა ჩამოსვლისას დელეგაციის ხელმძღვანელმა სოფლად უნგრეთის კოოპერაციის კავშირის გენერალურმა მდივანმა ი. დეგენმ, ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, გავეცანით საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერატივების ქსელს, დაწყებული სოფლით და დამთავრებული ცენტრალური ორგანოებით. საბჭოთა კავშირში მიღებული გამოცდილება აღგვაფრთოვანებს იმისათვის, რომ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ უნგრეთის სოფლის სოციალისტური მშენებლობისა და უნგრეთის კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისათვის.

კალკუტაში ჩავიდა საბჭოთა მეოთხე გემი, რომელმაც ინდოეთისათვის ხორბალი ჩაიტანა

დელი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმს ივნინგ ნიუსი" იუწყება, დღეს კალკუტაში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო გემი „ლერმონტოვი", რომელმაც ჩამოიტანა 7.309 ტონა საბჭოთა ხორბალი.

ბომბეას ჩავიდა ხორბლით დატვირთული საბჭოთა გემი „ყუბანი"

დელი, 16 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, ბომბეას ჩამოვიდა საბჭოთა მესამე გემი „ყუბანი", რომელზეც არის 8.600 ტონა საბჭოთა ხორბალი.

საფრანგეთის ეროვნული კრების არჩევნები

პარიზი, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს დილის 8 საათზე მთელ საფრანგეთში დაიწყო ეროვნული კრების არჩევნები. რეგისტრირებულია 24.602 ათასი ამომრჩეველი.

სულ ეროვნულ კრებაში არჩეულ უნდა იქნას 625 დეპუტატი (2 დეპუტატი ახალი კალედონიისა და ოკეანიისაგან არჩეულ იქნება უფრო გვიან). ამ რიცხვიდან 544 დეპუტატი არჩეულ იქნება მეტროპოლიაში, დანარჩენი მეტროპოლიის გარეთ.

ხალხის გამოკითხვა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 16 ივნისი. (საკდესი). წარმატებით გრძელდება ხალხის გამოკითხვა დასავლეთ გერმანიაში. არსებული ცნობებით, 24 საათის განმავლობაში 16 ივნისის შუადღისათვის დასავლეთ გერმანიაში გამოკითხულ იქნა 23.518 მცხოვრები. აქედან 20.543 კაცმა ხმა მისცა გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და გერმანიასთან 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ.

ამერიკელი ხელისუფლები ულმობლად ავიწროებენ გაფიცული მუშების ცოლ-შვილს

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა იუნაიტედ პრესის სილვერსიტილი (ნიუ-მექსიკოს შტატი) კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლები ულმობლად ავიწროებენ თუთიის მაღაროების გაფიცულ მუშათა ცოლ-შვილს.

როგორც ამ ცნობაში აღნიშნულია, კომპანიის „ემპაირ ცინკ კომპანის" კუთვნილი მაღაროების მუშები უკვე შვიდი თვეა გაფიცული არიან და მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

კომპანიის მოთხოვნით ადგილობრივი ხელისუფლები სასტიკ რეპრესიულ ღონისძიებებს იყენებენ გაფიცული მუშების წინააღმდეგ.

მუშების ცოლები და შვილები პიკეტებად უდგანან მაღაროებს, რათა არ დაუშვან მაღაროებში შტრეიკბრეხერები. 16 ივნისს ადგილობრივმა პოლიციამ დაიწყო მუშების ცოლებისა და შვილების გაფანტვა ცრემლსადენგაზიანი ბომბებით. მუშათა 50 ცოლი პოლიციელებმა შეიპყრეს და ადგილობრივ საპყრობილეში ჩასვეს. ზოგიერთი ქალი შვილებიანად ჩასვეს საპყრობილეში.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დაპატიმრებული ქალებისა და ბავშვებისათვის განსაკუთრებით მძიმე პირობებია შექმნილი. საპყრობილის უფროსმა ჯიმ ჰილერმა კორესპონდენტს განუცხადა, ჩემს საპყრობილეში „ამჟამად ისეთი ცუდი პირობებია, როგორც არასოდეს არ მინახავს".

პ. ა. პავლენკო

პ. ა. პავლენკოს მიენიჭა 1-ლი ხარისხის სტალინური პრემიები კინოფილმების „ალექსანდრე ნეველის", „ფიცის", „ბერლინის დაცემის" სცენარებისა და რომან „ბედნიერებისათვის".

საბჭოთა ლიტერატურამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი — ბოლშევიკი მწერალი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი — პეტრე ანდრიას-ძე პავლენკო.

პ. ა. პავლენკო დაიბადა 1899 წელს რკინიგზელის ოჯახში. სამოქალაქო ომის წლებში იგი შედის ბოლშევიკურ პარტიაში და მოხალისედ მიდის წითელ არმიაში, მსახურობს წითელარმიელად, შემდეგ ამთავრებს პარტსკოლას და ინიშნება პოლიტხელად შეიარაღებულ სამდინარო გემზე, რომელიც კავკასიის XI არმიის მტკვრის სამდინარო ფლოტილიაში შედიოდა, ხდება ფლოტილიის კომისარი, შემდეგ განსაკუთრებული დანიშნულების სასაზღვრო რაზმის კომისარი.

წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ამხ. პავლენკო პარტიულ სამუშაოზეა.

პირველი მოთხრობების ბეჭდვა პ. ა. პავლენკომ დაიწყო 1928 წელს. მისმა მოთხრობებმა იმთავითვე მიიპყრეს კრიტიკისა და მკითხველთა ყურადღება. რომანმა, „აღმოსავლეთში", რომელიც 1937 წელს გამოვიდა, პ. ა. პავლენკო საბჭოთა მწერლების პირველ რიგებში ჩააყენა. ყოველი ახალი ნაწარმოები, რომელიც ნიჭიერი მწერლის კალამს ეკუთვნოდა, გამოირჩეოდა ცხოვრების ღრმა ცოდნითა და მხატვრის დიდი ოსტატობით.

დიდი სამამულო ომის წლებში მთელ თავის ნიჭს, მთელ თავის ბოლშევიკურ გულს იგი ახმარს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს. პ. ა. პავლენკო გაზეთების „პრავდისა" და „კრასნაია ზვეზდის" სამხედრო კორესპონდენტია.

1947 წელს პ. ა. პავლენკომ დაწერა რომანი „ბედნიერება" — თვალსაჩინო ნაწარმოები, რომელიც შევიდა საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. იგი შესანიშნავი კინოსურათების „ალექსანდრე ნეველის", „ფიცისა" და „ბერლინის დაცემის" სცენარების ავტორია. ეს კინოსურათები მნიშვნელოვანი ნიშანსვეტებია საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში.

პ. ა. პავლენკო საბჭოთა მწერლების იმ პირველი თაობის წარმომადგენელი იყო, რომელმაც მსოფლიოს მისცა მწერლის ახალი ტიპი — კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე მწერლის ტიპი.

იგი მშვიდობის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი იყო.

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახე ალბეჭდილია მწერლის ნაწარმოებებში — რომან „ბედნიერებაში", დიდებულ კინოეპოპეა „ფიცსა" და „ბერლინის დაცემაში". „სტალინი და ხალხი, სტალინი და კაცობრიობა" — ასე განსაზღვრა თვით მწერალმა თავისი ეპოპეის თემა, რომლის მესამე ნაწილზეც მუშაობდა იგი უკანასკნელ დროს.

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის პ. ა. პავლენკო დაჯილდოებული ლენინის, წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით.

პ. ა. პავლენკო დიდ პარტიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა. [illegible] იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ყირიმის საოლქო კომიტეტისა და იალტის საქალაქო კომიტეტის ბიუროების წევრი, საბჭოთა მწერლების [illegible] შორის ყირიმის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ალმანახ „კრიმის" რედაქტორი, ჟურნალ „ზნამიას" სარედაქციო კოლეგიის წევრი, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს წევრი.

ცხოვრების ცოდნა, კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა პ. ა. პავლენკოს ძირითად საქმედ მიაჩნდა საბჭოთა მწერლის მუშაობაში. მომთხოვნელი მხატვარი, [illegible] გორკის ანდერძის ერთგული, იგი მზრუნველობითა და გულისხმიერებით ეხმარებოდა [illegible] გაზრდა ლიტერატორთა ზრდას.

პ. ა. პავლენკოს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და მას შესწირა თავისი ნიჭისა [illegible] დიდი, მგზნებარე გულის მთელი ძალა.

ა. ფადეევი, ა. სურკოვი, კ. სიმონოვი, ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი, მ. შოლოხოვი, [illegible] ბოლშაკოვი, ა. სოფრონოვი, ფ. პანფეროვი, ლ. ლეონოვი, თ. გლადკოვი, ვ. კოჟევნიკოვი, კ. ფედინი, ა. ტვარდოვსკი, ბ. გორბატოვი, ნ. გრიბაჩოვი, ა. ვენცლოვა, ა. ტუბი, [illegible] იაკობსონი, იაკუბ კოლასი, გ. ლეონიძე, ი. ერენბურგი, პ. ბროვკა, აიბეკი, მ. ჩიაურელი, ვ. ტრენევი, კ. ვორონკოვი, ვ. ვასილევსკაია, ე. პოპოვკინი, ბ. ლავრენევი, ნ. ახვედ [illegible], ბუბიონოვი, ნ. ზარიანი, ი. აბრაგიმოვი, ვს. ივანოვი, გ. ვლადიკინი, ბ. პოლევოი, [illegible] ვსკოი, ვ. კატაევი, ს. მარშაკი, ა. პერვენცევი, პ. ტიჩინა, მ. რილსკი, ლ. სობოლევი, [illegible] ტურსუნ-ზადე, ს. ევგენოვი, ბ. რომაშოვი, ნ. პოგოდინი, მ. ისაკოვსკი, ა. კარავაევა, პ. ვერშიგორა, ბ. ლეონტიევი, ა. მაკაროვი, ა. ჩაკოვსკი, ლ. სკორინი, ტ. ხუმუშკინა, [illegible] ვაშენცოვი, მ. გელოვანი, ს. გიაცინტოვა, ბ. ანდრეევი, ვ. მოსკოვსკი, ვ. სმირნოვა.

მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

16 ივნისს ქ. სტალინოში „შახტიორის" სტადიონზე პირველობის გათამაშების ლიდერი თბილისის „დინამოს" გუნდი შეხვდა ადგილობრივ გუნდს „შახტიორს". თბილისელებს ძირითადი შემადგენლობიდან აკლდათ ი. სარჯველაძე და მ. ჯოჯუა (მათ ნაცვლად თამაშობდნენ ა. რუსაძე და ა. ბაიძე).

პირველი ტაიმის 30-ე წუთზე დინამოსელმა ფეხბურთელებმა გახსნეს ანგარიში.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა უფრო შეასუსტეს თამაშის ტემპი „შახტიორის" გუნდის ფეხბურთელებმა შეძლეს დამატებით სამი ბურთის გატანა და მატჩი მოიგეს ანგარიშით 4 : 0.

17 ივნისს კიევის „დინამომ" თავის მოედანზე მიიღო თბილისის „სპარტაკის" გუნდი. დაძაბული და საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა უკრაინელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2. ამავე დღეს მოსკოვში თამაშობდნენ სამხედრო-საჰაერო ძალთა („ვვს") და სამხედრო-საზღვაო ძალთა („ვმს") ფეხბურთელთა გუნდები. სამხედრო-საზღვაო ძალთა გუნდმა დიდი მონდომებით ჩაატარა მატჩი და მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 2 : 1.

ლექციები

19 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის № 2) შედგება პროფესორ ზავრიევის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

19 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შედგება დოცენტ ტაბაღუას ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

20 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის № 2) ვაჟრობის მუშაკებისათვის შედგება კოლახიძის ლექცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი საბჭოთა ვაჭრობის შესახებ".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგური 1224 და 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის რადიოქსელით)

20 ივნისს

[illegible]

ღამე თეატრები

[illegible]

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1951/52 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ბერძნული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა (ძველი და საბჭოთა პერიოდი), ზოგადი ენათმეცნიერება, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, ძველი ქვეყნების ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, საქართველოს ისტორია (ძველი და საბჭოთა პერიოდი), სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სტატისტიკა, გეომორფოლოგია, სასარგებლო ნამარხთა ძიების გეო- [illegible]

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1951-1952 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე: თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტზე (საკომპოზიტორო, თეორიული, ისტორიული, ხალხური მუსიკალური შემოქმედების და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებებით); საფორტეპიანო ფაკულტეტზე; ვოკალურ ფაკულტეტზე; საორკესტრო ფაკულტეტზე (საშემსრულებლო, სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტების განყოფილებებით).

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები — 15 აგვისტოდან 28 აგვისტომდე.

[illegible]

თბილისის პრივიზის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თ. ცაგარელს მისი დედის ანასტასია უჩარდის ახულ ცაგარეიშვილის გარდაცვალების გამო.

[illegible]

[illegible]